ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 21 თებერვალი, 2011 | №43 (5424) | ფასი: 30 თეთრი

## ილია მეორე: ამპარტავნობა ბავშვებსაც აქვთ მოდებული

გვ.5



# სააკაშვილს ხელისუფლებაში თავად ნაციონალები აღარ დატოვებენ



გვ.4



რას აპირებს გიგა ბოკერია 2913 წელს

## ოპოზიციის მთავარი მტერი სიზარმაცეა

გვ.2



უცბად შედეგის მიღწევა შეუ ლებელია

## ამერიკა საქართველოს პუტინიზაციას არ დაუშვებს

გვ.4





საქართველომ დამოუკიდებლად ბრ ოლა უნდა ისწავლოს

გვ.3

## როდემდე უნდა ვიყოთ სხვის იმედად?



გვ.3

## სანდრო ბრეგაძის სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება



გვ.6

## რა უნდა გააკეთოს ამერიკამ საქართველოსთვის?



## პრეზიდენტი მკვლელების მიმართ მოწყალებას იჩენს

გვ.5

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## სკანდალი ევროვიზიის ეროვნულ ფინალზე

რატომ დატოვა კონკურსი სამმა კანდიდატმა?

გვ.8

ISSN 1987-9385

8 ათონელი ბერები ხელნაწერთა ცენტრს ეწვივნენ

10 ფავორიტთა ულიმღამო ფრე

7 ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გახსნილია

11 არმია კვლავ თავშია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ოპოზიციის მთავარი მტერი სიზარმაცეა

ნონა ცაბაძე



უცბად შედეგის მიღწევა შეუ ლებელია

## ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, დღეს აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილს აშინებს შექმნილი ვითარება, სოციალური ფონი და ამიტომ არიგებს ფასიან ვაუჩერებს. რამდენად უშველის გაჭირვებულ ხალხს ეს ვაუჩერები და რამდენად გაანეიტრალებს სიტუაციას?***

— ამას წინად ვუსმენდი ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლების დებატებს. ოპოზიცია სათანადოდ ვერ აფასებს იმას და კარგად სარგებლობს ამით ხელისუფლება. 20 ლარი რა არის, 30 ლარი რა არის, რომ ამბობენ, 20 ლარი და 30 ლარი ზოგიერთი ადამიანისთვის დღეს გადარჩენაა. სანამ ამას არ გააცნობიერებენ და არ შეცვლიან ტაქტიკას, პრობლემა იმაში კი არ არის, ხელისუფლებამ 20 ლარი თუ 30 ლარი გაიღო, პრობლემა იმაშია, რომ ხალხი ოპოზიციისგან ვერ ისმენს ამის ალტერნატივას. უფრო სწორად, რასაც ისმენს, მეტისმეტად არარეალურად გამოიყურება, ეს 20 და 30 ლარი კი რეალური და ხელშესახებია. რა თქმა უნდა, სოციალური აფეთქების შიშიც არის ეს. უმძიმესი ვითარებაა, უკეთესობის პირი არ უჩანს და აბა როგორ?

***— ფიქრობთ, ხელისუფლება ამ ნაბიჯით მომხრეებს გაიჩენს?***

— ჯერ დავიწყოთ იქიდან, რომ 2003 წელს რასაც იძახდნენ, დღეს რომ ოპოზიციაში არიან, რომ თურმე ხელისუფლებას არც ერთი მომხრე არ ჰყოლია, ხომ ფაქტია, რომ ყველა ხელისუფლებას, თვით ყველაზე ავტორიტარულსაც კი, ყოველთვის ჰყავს რაღაც რაოდენობა მომხრეებისა. დღესაც ასეა. თუ ოპოზიციას ჰგონია, რომ სააკაშვილს არ ჰყავს მომხრეები და ყველა ოპოზიციაა, ეს არის სერიოზული შეცდომა. ან შეცდომა, ან თავის მოტყუება. ჰყავს მომხრეები და, რა თქმა უნდა, ვიღაცები დაემატება ამ 20 და 30 ლარის ხარჯზე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ოპოზიცია სრულიად არაინფორმირებულია იმ კონკრეტულ სოციალურ პროგრამასა და დახმარებებზე, რასაც ნაცმოძრაობა ახორციელებს. კორპუსის კოორდინატორებს რომ ეძახიან, იმათ ზეპირად იციან, ყველა ოჯახში რა ხდება, ვის რა უჭირს. ზოგს ოპერაციაში წაეხმარებიან, ზოგს დროებით სამსახურს მაინც გაუჩენენ, ზოგს ჰუმანიტარული პროდუქტით დაეხმარებიან და ეს ნამდვილად ხდება. თუ ოპოზიციას ამის დანახვა არ უნდა, ეს მისი პრობლემაა. მე ამ ხელისუფლების ადვოკატად ასი წელი არ დავდგები, მე ვამბობ იმას, რაც რეალურად არის. პოლიტიკური ოპოზიცია იმიტომ არის პოლიტიკური ოპოზიცია, რომ ეს ყველაფერი შეაფასოს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.

***— საუბრობენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეგვიპტის მსგავსი პროცესები განვითარდეს. ამის საფრთხეს თუ ხედავთ?***

— არა, მე ვერ ვიზიარებ მაგ თვალსაზრისს, რომ რადგან იქ ხდება, აუცილებლად აქაც მოხდება. ჯერ ერთი, ეს ავტომატურად არ ხდება, მეორეც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სერიოზული ხელშეწყობის გარეშე პროცესები ისე არ განვითარდებოდა ეგვიპტესა და სხვა დანარჩენ ქვეყნებში, სადაც ეს მღელვარება მიმდინარეობს, როგორც მოხდა. ამას ჰქონდა სერიოზული მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსური, კომუნიკაციური და ასე შემდეგ. ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებმა ყურადღებით უნდა იკითხონ ყველა დოკუმენტი, მათ შორის, ჰილარი კლინტონის მოხსენება, სადაც მან ხაზგასმით თქვა, რომ ახლა მხარს დაუჭერენ სოციალურ ქსელებს და ამაზე გამოყოფენ 25 მილიონ დოლარს. ეს არის ფეისბუქი, ტვიტერი, ჩინეთში ჩინურ ენაზე, რუსეთში — რუსულ ენაზე და ასე შემდეგ. ეს იარაღი იქნება გამოყენებული ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ. აი, ამის წაკითხვა და დასკვნის გამოტანა უნდა შეგეძლოს, რომ რადგან ამას სუპერსახელმწიფოს მდივანი აცხადებს, ე.ი. აქაც მათი ჩარევის გარეშე, იგივე ტვიტერითა და ფეისბუქით ატეხილი მღელვარებები არ მოხდებოდა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ იმავე ამერიკას დიდი როლი ექნება ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე და მათი ნების გარეშე არაფერი შეიცვლება?***

— რა თქმა უნდა, ასეა. კიდევ სხვა დოკუმენტს მოგიყვანთ. მაგალითად, ახლა დაზვერვის დოკუმენტები გამოქვეყნდა „ვიკილიქსზე“, სადაც პირდაპირ ამბობენ, რომ ამერიკელები არ ელიან აქ რაიმე ცვლილებებს, 2013 წლამდეც და იმის მერეც. პოლიტიკოსი რომ ხარ, უნდა მიხვდე, ამაში რაც იგულისხმება, რომ ისინი არანაირ ძალისხმევას არ გასწევენ იმისთვის, რომ აქ რეჟიმი შეიცვალოს. მე მაოცებს ზოგიერთი ჩვენი ოპოზიციონერის ილუზია, რომ ამერიკელები დაეხმარებიან მათ რეჟიმის შეცვლაში.

***— დღეს ოპოზიცია თავად ეწევა ერთმანეთის დისკრედიტაციას, ვერც ერთ საკითხზე ვერ შეძლეს მათ ერთიანობა...***

— ოპოზიცია არასოდეს არის ერთიანი და გაგახსენებთ, რომ 2003 წელს, რევოლუციის დღემდე, 22 ნოემბრამდე არც სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე ყოფილან ერთად. ბუნებაში არ ხდება, რომ ყველა ერთ ჭკუაზე დადგეს, მით უმეტეს, რომ ოპოზიციაში მუდმივად არის, ისევე, როგორც მმართველ პარტიაში, ყოველთვის არის პოზიციებისთვის ომი. ვინ იქნება წამყვანი ფიგურა. ასევეა ოპოზიციაში, ყველა ოპოზიციონერს უნდა, იყოს ლიდერი და ეს იწვევს ამ შიდა დაპირისპირებებს. ყველა მმართველი პარტია ყოველთვის სარგებლობს და ისარგებლებს ამით.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს? ფაქტია, რომ სიტუაცია მძიმეა. საუბრობთ იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს ხელისუფლება არც კი შეიცვალოს...***

— ფონი ძალიან მძიმეა, მაგრამ შეკითხვა ისე ჟღერს, თითქოს ჩემი ამოცანა და ერთადერთი ოცნებაა, რომ აქ ხელისუფლება შეიცვალოს. მე ამაზე არ ვფიქრობ იმდენს, რამდენსაც ოპოზიციას ჰგონია, რომ ხალხი ფიქრობს. მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებში ყოველთვის ვმონაწილეობდი. ჩემთვისაც კი ეს არ არის ზეამოცანა. ჩემთვის ამოცანა და მიზანია, რომ ვითარება შეიცვალოს ქვეყანაში. თუ აღმოჩნდება, რომ ამ ვითარებას უკეთესობისკენ ეს ხელისუფლება შეცვლის, მაშინ რატომ უნდა მომინდეს მისი შეცვლა? არ არის ლოგიკური? თუ ვერ შეცვლის, რა თქმა უნდა, მე მექნება სურვილი, გამოჩნდეს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ სიტუაციას შეცვლის უკეთესობისკენ.

***— იმაზეც საუბრობენ, რომ სააკაშვილის შემცვლელს ვერ ხედავს დასავლეთი...***

— არ ხედავს, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, აქ სიტუაცია დალაგებული აქვთ ისე, როგორც მათ, მათ სტრატეგიულ ამოცანას სჭირდება. ასეა თუ ისე, ისინი ფლობენ აქ სიტუაციასა და პროცესს. ჯერ ერთი, ოპოზიციას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, არ ჰყავს ძალიან სერიოზული ძალა, რომლის გარშემოც კონსოლიდაცია მოხდებოდა და არავინ იცის, სიტუაციის არევის შემთხვევაში ვინ შეიძლება მოექცეს სათავეში და რა გარანტიები აქვთ. ბუნებრივია, მათ არ უნდათ არანაირი ცვლილებები. ამიტომ ოპოზიციის ამოცანაა, რაღაცნაირად ჩამოყალიბდნენ და ვიღაცამ უნდა შეძლოს ამბიციების დათმობა. სხვათა შორის, იყო ამის მცდელობა, როცა ირაკლი ალასანია მივიდა და სთხოვა ეს ერთიანობა. ორი წლის წინანდელ ამბავს გეუბნებით.

***— ჩვენთან ყველას ლიდერომანია სჭირს...***

— საერთოდ, ყველგან მსოფლიოში ოპოზიციაში ლიდერომანიაა, მაგრამ ქართველებში ეს ორმაგად გამწვავებულია. ეს მენტალობის, სამხრეთული ტემპერამენტის საკითხია. იმის საკითხიც არის, რომ ჩვენს ოპოზიციას უნდა, ერთი დარტყმით მოათავოს საქმე და ის, რომ ამას ყოველდღე უნდა მეთოდური მუშაობა, ნაკლებად აინტერესებთ. ზარმაცები არიან, გარჯა, სისტემური მუშაობა არ უყვართ. ყველაზე ვერ ვიტყვი ამას, მაგრამ ძირითადად ასეა. უცებ, ერთი გამოვარდნით უნდათ, რომ მიაღწიონ შედეგს. ერთჯერადი აქციებით ხელისუფლებები არ იცვლება. შეგახსენებთ, რომ 22 ნოემბერს კი არ შეიცვალა ხელისუფლება, ეს პროცესი მიმდინარეობდა 1995 წლიდან და იკრებდა ძალას. ამას მოჰყვებოდა იგივე უზარმაზარი ამერიკული ფინანსური მხარდაჭერა, უზარმაზარი მედიამხარდაჭერა, ხელისუფლებაში გარკვეულ პოზიციებში მყოფი ადამიანების მიმხრობა. გარკვეულ პოსტებზე ჟვანია უკვე 1995 წლიდან იბრძოდა და უკვე თავისი კადრები ჰყავდა ჩასმული. ამას უზარმაზარი შრომა უძღოდა წინ. ეს არ მომხდარა ისე, რომ ერთი შეიკრიბნენ და ამით გადადგა შევარდნაძე. ასე არ მომხდარა, რასაც დღევანდელი ოპოზიცია არ აკეთებს. უნდა გითხრათ, რომ ხელისუფლება არც აძლევს ამის არანაირ შანსს, გამორიცხულია, დღეს წარმოუდგენელია სააკაშვილის პირობებში, რომ პარლამენტის თავმჯდომარე იყოს მისი ოპოზიცია. ამას არ დაუშვებს.

***— ასევე სახალხო კრების იმედი ჰქონდა საზოგადოების დიდი ნაწილს, თუმცა, ვერც იქ მოხერხდა ერთიანობა და პოზიციების შეჯერება...***

— მანდაც იგივე მოხდა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. იყო სურვილი, რომ 25 ნოემბერს შეიკრიბებოდნენ და უცბად რაღაც შეიცვლებოდა. მე მერე ასეთი განცხადებებიც მოვისმინე, უფრო მეტი ხალხი რომ ყოფილიყო, შევცვლიდითო. რამდენიც არ უნდა მისულიყო, მაინც ვერ შეცვლიდნენ, ეს ერთი დღისა და ერთი მიტინგის ბრძოლა არ არის. ეს არის ბრძოლა გაძლებაზე, ნერვების ბრძოლა.

***— თქვენ საუბრისას ახსენეთ, რომ თავად ხელისუფლების შიგნითაც მიმდინარეობს ბრძოლა. საუბრობენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილს საკუთარი გუნდი უპირებს დასუსტებას. ითქვა, რომ ბოკერია, რამიშვილი და ბენდუქიძე ახალ პოლიტიკურ პარტიას ქმნიან და კლანური ბრძოლა მიდის...***

— მოდით, ასეთ არასერიოზულ ხალხზე კომენტარს ნუ გამაკეთებინებთ. ვისაც ჰგონია, რომ ბენდუქიძე, რამიშვილი და ბოკერია სერიოზული ფიგურები არიან, სწორედ იმათ ილაპარაკონ. ბოკერიამ, ბენდუქიძემ და რამიშვილმა ძალიან კარგად იციან, სააკაშვილი რომ დაასუსტონ, მათგან ბუნდლაც არ დარჩება. ასე რომ, ეგ ილუზიაა. მე უფრო სხვა რაღაცას ვფიქრობ, რომ იქ არის კიდევ სხვა ძალები. ხელისუფლებაში, სხვათა შორის, საპირისპიროდ საწინააღმდეგო მენტალიტეტის ხალხია, ვიდრე ეს სამი, ვინც შენ ჩამოთვალე, ანუ ულტრალიბერტანიელების საწინააღმდეგო ხალხი და მე იქიდან უფრო ველოდები, რომ იქიდან უფრო წარმოიშვას ოპოზიცია. არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ ეს ხელისუფლება არ იქნება, მერე რა ეშველებათ და სად იქნებიან. ყველა ერთი ჭკუის ნაცმოძრაობაშიც არ არის.

***— მილიარდები იშოვეს და სააკაშვილს ასე ადვილად არ გაუშვებენ, მათი ქონების გარანტიაო...***

— რა თქმა უნდა, ეგ ხომ სადავო არ არის. თქვენ, ყველა, ჟურნალისტებიც და პოლიტიკოსებიც, უშვებთ ერთ შეცდომას — მხოლოდ პირამიდის წვეროს უყურებთ. ეს ყველაფერი აისბერგს შეიძლება შეადარო. თქვენ ხედავთ მხოლოდ ხილულ ნაწილს, პოლიტიკური ელიტის ზედა ეშელონებს და აისბერგის ქვედა ნაწილი, რომელიც წყლის ქვეშ არის, გაცილებით დიდია. ეს არის საშუალო რგოლი მმართველი აპარატისა, რომელიც დღეს ემსახურება კონკრეტულად ამ ხელისუფლებას. ყველაზე დიდი შიშები იმ ქვედა, უხილავ ნაწილშია, რომ იცოდეთ. საქართველო არის პატარა ქვეყანა. დიდ ქვეყნებშიც კი მმართველი აპარატი, ბიუროკრატიული აპარატი ფაქტიურად არ იცვლება, იცვლება ზედა ეშელონი, მაგრამ საშუალო და ქვედა რგოლები რჩება იგივე. გაცილებით მეტია შიში და კონსოლიდაციის მოთხოვნილება აისბერგის უხილავ ნაწილში. თქვენ ლაპარაკობთ მერაბიშვილზე და სულ არ გახსენდებათ, რომ რომელიღაც ქვეგანყოფილების პოლიციის უფროსიც არსებობს, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ხშირად პროცესებში გამოსავალს განაპირობებს ის ქვედა რგოლი და არა პირველი პირი. გაიხსენეთ, რამდენი იმუშავეს რევოლუციონერებმა ამ ქვედა რგოლთან და ტკბილი სიტყვითა და მოფერებით რამდენი გააკეთეს. ჩვენი ოპოზიცია კი სააკაშვილისა და მერაბიშვილის მეტს ვერაფერს ხედავს.

## დღეს ებრაელი ბიზნესმენების სასამართლო პროცესი განახლდება



ებრაელი ბიზნესმენების: რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს განახლდება. როგორც „მედიანიუსს“ მათმა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განუცხადა, ხვალისათვის ბრალდების მხარის მოწმეთა დაკითხვა იგეგმება.

— ბრალდების მხარეს სამი მოწმე ჰყავს: საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძე, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე ნიკოლოზ გონგლიაშვილი და კომპანია „საქნავთობის“ ყოფილი თავმჯდომარე რევაზ თევზაძე. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი დაიკითხება ხვალინდელ პროცესზე, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

როგორც ცნობილია, ქართველმა სამართალდამცავებმა რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი 2010 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალი ავთანდილ ხარაიძის მოსყიდვის მცდელობაში ედებათ.

მედიანიუსი

## სოხუმი მოსახლეობის აღწერას იწყებს

21 თებერვლიდან 28 თებერვლამდე აფხაზეთში მოსახლეობის აღწერა ჩატარდება. აფხაზეთის ტერიტორია უკვე დაიყო უბნებად. მთლიანობაში, შექმნილია 680 დამთვლელი და 152 საინსტრუქციო უბანი. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია 35 სააღწერო განყოფილება.

„აპსნიპრესის“ ინფორმაციით, შეიქმნა 40 სტაციონარული დამთვლელი უბანიც, რომლის წევრებიც მზად იქნებიან, მიიღონ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მიიღეს აღწერაში მონაწილეობა.

აღწერის პირველი ეტაპი უკვე ჩატარდა გასული წლის სექტემბერში სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ძნელად მისადგომ დასახლებულ პუნქტებში. კერძოლ, ფსზუსა და კოდორის ხეობაში. ამასთან, კოდორის ხეობაში აფხაზებმა აღწერა პირველად ჩაატარეს.

მედიანიუსი

## სომალელი მეკობრეები ქართველ მეზღვაურებს თებერვლის ბოლოსთვის გაათავისუფლებენ

სომალელი მეკობრეები დატყვევებულ ქართველ მეზღვაურებს სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსთვის გაათავისუფლებენ.

როგორც „მედიანიუსს“ სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ერთ-ერთი ქართველი მეზღვაურის დავით დევაძის მამამ სერგო დევაძემ აცნობა, ბერძნული გემთმფლობელი კომპანია ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებას მათ ოჯახებს თებერვლის ბოლოსთვის დაპირდა.

საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირების თავმჯდომარის ანატოლი ჩიჯავაძის თქმით, რამდენადაც მისთვის ცნობილია, ქართველი მეზღვაურების გათავისუფლება თებერვლის ბოლოსთვის იგეგმება.

— უკვე დიდი ხანია დაიწყო მოლაპარაკებები და ჩვენი მეზღვაურები სამშობლოში სავარაუდოდ, ერთ კვირაში დაბრუნდებიან, მეტს ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, — აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, 15 ქართველი მეზღვაური სომალელი მეკობრეების ტყვეობაში უკვე რამდენიმე თვეა იმყოფება.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# როდემდე უნდა ვიყოთ სხვის იმედად?

**საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდა და უახლოეს პერიოდში მსგავსი პერსპექტივა არც არსებობს. ამას მიხეილ სააკაშვილის განცხადებებიც მოწმობს, სადაც ამ ქვეყნის პირველი პირი აცხადებს, რომ ის იმედგაცრუებულია, რადგან, მიუხედავად იმისა, ის „წარჩინებული მოსწავლე" გახლდათ, საქართველო ნატოში მაინც არ მიიღეს.**

**თუმცა, საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობა გარკვეულ ფორმატში მაინც გრძელდება. პარალელურად, ნატოს შესახებ სარეკლამო სამუშაოებიც ტარდება ხოლმე. რამდენიმე დღის წინ საქართველო-ნატოს შეხვედრა გაიმართა, სადაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კონცეფცია წარადგინეს.**

**სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტი გიორგი თავდგირიძე აცხადებს, რომ საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანება თვითმიზანი არ უნდა იყოს, ხოლო ნატოში გაწევრიანების შესახებ განცხადებები მხოლოდ პიარი იყო და მეტი არაფერი.**

გულიკო ბალა ე

***— ბატონო გიორგი, სააკაშვილი საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით იმედგაცრუებულია. თუმცა, ხელისუფლება ნატოსთან გარკვეული კუთხით მაინც თანამშრომლობს. როგორ ფიქრობთ, უახლოეს პერიოდში. საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსი აღარ არსებობს?***

— პირველ რიგში, ვისაუბროთ იმაზე, რა არის სასარგებლო ქართული სახელმწიფოსთვის და რა გვჭირდება ჩვენ, ანუ არის თუ არა ნატოში გაწევრიანება ის მიზანი, რომელსაც ყველაფერი უნდა შევწიროთ და მისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ? არა. ნატოში გაწევრიანება უახლოეს პერიოდში არც გვემუქრება. საქართველოს ნატოში გაწევრიანება პოლიტიკური სპეკულაციების თემა იყო. ეს გახლდათ ძალიან გაპიარებული თემა და, აქედან გამომდინარე, ის, ვინც ნატოში გაწევრიანებაზე საუბრობდა, ის, ვინც ამ გეგმებს სახავდა, ქართულ მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს ნატოში შეიყვანდა, უბრალოდ, ამით პოლიტიკურ ქულებს იღებდა. ასე ვთქვათ, ეს იყო სუფთა პიარის თემა.

***— ე.ი. ამით ხელისუფლებამ საზოგადოებას ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების გამტკიცებისა და დაცულობის ილუზია შეუქმნა, სინამდვილეში კი ეს მოლოდ პიარი იყო?***

— მხოლოდ პიარკამპანია არ იყო. ნატოში გაწევრიანების გარკვეული შანსები გვქონდა, მაგრამ ჩვენ სწორება უნდა ავიღოთ ისრაელზე. ისრაელი არ არის ნატოს წევრი, მაგრამ შესანიშნავად ახერხებს ნატოსთან ურთიერთობას, არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობას...

***— ევროპასა და რუსეთთან ურთიერთობასაც...***

— თავისთავად. მას საკმაოდ ძლიერი სამხედრო პოტენციალი გააჩნია. ის არ არის ხელწამოსაკრავი სახელმწიფო. საქართველო იგივე გეოპოლიტიკურ რეალობაშია მოქცეული, როგორც ისრაელი. თუ, ვთქვათ, ისრაელს არაბულ სამყაროსთან საკმაო დაპირისპირება აქვს, ასეთივე დაპირისპირება ჩვენ გვაქვს რუსეთის იმპერიასთან. ძალთა თანაფარდობა რაოდენობრივად, პოტენციალის მიხედვითაც დაახლოებით ერთნაირია. ისრაელიც არ არის დიდი სახელმწიფო არც ტერიტორიელად, არც მოსახლეობის მხრივ. შესაბამისად, არაბული სამყარო, მიუხედავად იმისა, რამდენიმე ათეული სახელმწიფოსაგან შედგება, მთლიანობაში თუ განვიხილავთ — არაბულ სამყაროს დამატებული ირანი — ისრაელის მოწინააღმდეგეებსაც არანაკლები სამხედრო პოტენციალი გააჩნია, ვიდრე — რუსეთს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მიზანი ნატოში გაწევრიანების თაობაზე არარეალურია. პირველ რიგში, საქართველოს სახელმწიფო უნდა შედგეს, ხოლო შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ, ნატოში გაწევრიანება გვირჩევნია თუ სამხედრო პარტნიორები და სხვადასხვა ტიპის პარტნიორობის უფრო მაღალ რანგში აყვანა.

***— თავის დროზე საქართველო ნატოში რომ გაწევრიანებულიყო, ქვეყანას უფრო მეტ უსაფრთოებას შესძენდა თუ მეტ საფრთხეებს გაუჩენდა? ისეთი აზრი არსებობს, რომ რაც უფრო ბევრს ვსაუბრობდით ნატოზე, უფრო მეტად გვებრძვის რუსეთი.***

— საქართველოს მოსახლეობა, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ავადმყოფია და მიჩვეულია პარაზიტულ ცხოვრებას. სამწუხაროდ, ვიღაც პრინცს ველოდებით, რომელიც დაამარცხებს დრაკონს, ჩვენ კი ვიცხოვრებთ წყნარად, მოხერხებულად, ვიქილიკებთ, შევჭამთ, დავლევთ და ჭიქით ხელში ვიამაყებთ, ჩვენი წინაპრების ბრძოლებით...

***— მთლად ასე არ არის. როდესაც ნატოზე საუბრობდნენ, იქვე ჩნდებოდა აზრი, რომ შეიძლებიდა ეს ტერიტორიების დაბრუნებაში, იურისდიქციის აღდგენაში დაგვხმარებოდა...***

— ეს იყო მომგებიანი თემა იმიტომ, რომ მუქთახორა ადამიანს ურჩევნია, მის მაგივრად სხვამ იმუშაოს. ჩვენს მაგივრად ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზას ნატოში ვხედავდით, ანუ ვფიქრობდით, რომ მოვიდოდა ძლიერი ორგანიზაცია, შეგვიფარავდა თავისი ქოლგის ქვეშ, ჩვენს მაგივრად ცუდ რუსეთს დაამარცხებდა და აიძულებდა, ჩვენთვის ტერიტორიები დაებრუნებინა. ეს იყო კარგი ზღაპარი. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს პრეცედენტი, რომ ვიღაცამ ვიღაცის მაგივრად რაღაც გააკეთოს. ყველა შემთხვევაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არის ჩვენი მიზანი, მაგრამ ჩვენ ამ მიზნისკენ არ მივდივართ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია. უახლოეს ხანში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც შესაძლებელია და სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის განდევნაც. ერს თავისი მიზანი უნდა ჰქონდეს ისე, როგორც ებრაელ ერს ჰქონდა თავისი მიზანი და როგორც კი გადაწყვიტეს, მათი სახელმწიფო უნდა აღგენილიყო, იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათი ისტორიული სამშობლოა, ეს მოახერხეს. ქართველებსაც იგივე ბედი გვემუქრება — თუ მოვინდომებთ, გავაკეთებთ. რუსეთი იმის გამო არ გვებრძვის, რომ ჩვენ ამერიკასთან ან ნატოსთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა რუსეთისთვის დამანგრეველი და რუსეთის ნგრევის მაპროვოცირებელია.

***— ალბათ, რუსეთის იმპერიას გულისხმობთ...***

— ვგულისმობ არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთეულებს. გარდა უშუალოდ რუსეთის შემადგენელ ძალიან მცირე ტერიტორიისა, სხვა დანარჩენი მიწები დაპყრობილია. აქედან გამომდინარე, რუსეთის დაშლაზეა ლაპარაკი და არა მის ტრანსფორმაციაზე. შემდეგ რუსეთის ფედერაციის ნარჩენებიდან რა სახელმწიფო წარმოიშობა არ ვიცი. ამიტომ რუსეთის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაა. მიუხედავად იმისა, საქართველო ამერიკასთან კარგ ურთიერთობაში იქნება თუ არა, ნატოში გაწევრიანება უნდა თუ არა, რუსეთის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ გაგრძელდება. რუსეთს უნდა, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობდეს. სომხეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო იმდენად არსებობს, რამდენადაც სამხრეთ კავკასიაში რუსეთს სომხეთი სჭირდება მანიპულირებისთვის. თუ მას ეს არ დასჭირდება, სომხეთის დამოუკიდებლობაც რუსეთისთვის პრობლემა იქნება. რუსეთს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი კოლონიების სახით სჭირდება. თუ ეს სახელმწიფოები რუსეთის კოლონიები არ იქნებიან, მათ წინააღმდეგ ყოველთვის იბრძოლებს მიუხედავად იმისა, ამ სახელმწიფოებს რა პოლიტიკური ორიენტაცია ექნებათ. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დაძაბულობის ყველაზე მაღალი ველი ჩრდილოეთ კავკასიაშია. რუსეთისთვის ყველაზე მგრძნობიარე სამხრეთ ფლანგია, რომელიც კავკასიონის ქედზე გადის. ამიტომ აქ ნებისმიერი სახელმწიფოებრივი ერთეულის გაძლიერება — საქართველო იქნება, სომხეთი თუ აზერბაიჯანი — რუსეთისთვის მიუღებელი იქნება.

***— ისე, რუსეთი ყველა ფლანგზე იბრძვის. მაგალითად, ახლა იაპონიასთან აქვს პრობლემები.***

— პრობლემა არის მაშინ, როცა შენ დაგეხარჯება ფინანსები, ან სამხედრო საფრთხე აღწევს დაძაბულობას. იაპონიასთან დაკავშირებით, ეს არის პოლიტიკური სპეკულაცია, პოლიტიკური მანევრები, რომელსაც, რუსული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ახლავს კუნთების თამაში, მაგრამ ეს არის თამაში ზღვარზე. ზღვარს კი რუსეთი არ გადასცილდება. იაპონიასთან კუნთების თამაში რუსეთს შიდა მოხმარების პიარისთვის სჭირდება.



**საქართველომ დამოუკიდებლად ბრ ოლა უნდა ისწავლოს**

***— რუსეთი იაპონიასთან ზღვარს არ გადასცილდება. საქართველოსთან კი შეიძლება გადასცილდეს.***

— რუსეთი ჩვენთან ურთიერთობაში ზღვარს გადასცილდება, რადგან პრობლემა ჩვენშია. თუ ჩვენი სახელმწიფო არ იქნება ძლიერი, ნატო, ამერიკა მარსი და გალაქტიკური იმპერიები — ყველა ერთად რომ დაგვიდგნენ, რუსეთი ყოველთვის მისცემს თავს უფლებას, მოგვიწყოს პროვოკაციები, ჩაერიოს ჩვენს პირად საქმეებში. ვხედავთ, რომ რუსეთი ერევა ჩვენს საქმეებში რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფებისა თუ ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული პირების საშუალებით.

***— რამდენიმე დღის წინ საქართველო-ნატოს შეხვედრა მოეწყო, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რაღაც კონცეფცია წარადგინეს. ესეც პოლიტიკური სპეკულაციაა, ხელისუფლების პიარია, რომ ქვეყნის მოსახლეობა გავლენის ქვეშ იყოლიოს, რომ თითქოს ამ მიმართულებით რაღაცას აკეთებს?***

— თუ ჩვენ შინაგანად არ გავძლიერდებით, ყველა პროექტი მხოლოდ ლაპარაკი და წყლის ნაყვა იქნება, როგორც აქამდე.

***— ვერანაირი კონცეფცია ვერაფერს გააკეთებს ტერიტორიული პრობლემების მოსაგვარებლად თუ ძლიერი არ იქნები?***

— დიახ. ჟენევის ფორმატი, შეხვედრები და პროექტები, ყველაფერი ეს არის ფულის გათეთრება, გრანტების ათვისება. უსაქმური არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი, საბოლოო ჯამში, გარკვეული ფულის მასის ათვისებითაა დაკავებული. ქმედითი არის ისრაელი, რომელსაც შეუძლია გარკვეულ კონცეფციას ქმედება მიაყოლოს. ქმედება ზოგჯერ ამართლებს, ზოგჯერ არა, ზოგჯერ ძალიან წარმატებულია, ხშირ შემთხვევაში წარუმატებელია, მაგრამ ისრაელს შეუძლია იმოქმედოს, საქართველო კი მხოლოდ ლაპარაკითაა დაკავებული. საქართველომ ერთხელ სცადა მოქმედება 2008 წელს და მთელი საქართველოს მოსახლეობა, მთელი პოლიტიკური სპექტრი თავისივე ქმედებით შეშინებული აღმოჩნდა. თავის მართლება დავიწყეთ იმით, რომ რუსეთი არის ძლიერი, ევროპა და ამერიკა არ დაგვეხმარა, ამიტომ დავმარცხდითო. ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, არასრულფასოვნების კომპლექსი გვაქვს და არ გვჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია რუსეთს ვაჯობოთ. არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ყველას შეგვეშინდა. პირველი ორი დღე, როცა არ გვეშინოდა, ჩვენ მივაღწიეთ წარმატებას და რუსეთი ზღვარზე იყო, გაეგრძელებინა თუ არა საქართველოს წინააღმდეგ ქმედება. სამწუხაროდ, ჩვენი თაობა დამოუკიდებელ ბრძოლას ვერ მიეჩვია. რომ არ დაგვეხმარონ, ჩვენი ძალებით ვერ უნდა ვიბრძოლოთ? საქართველოს სახელმწიფოს სამიათასწლოვანი ისტორია გააჩნია, სადაც ვიღაცასთან მოკავშირეობა მთავარ პრიორიტეტად არასოდეს განიხილება. ვიღაცასთან მოკავშირეობა ყოველთვის დამატებითი ფაქტორი იყო.




## სანდრო ბრეგაძის სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება



ყოფილი პარლამენტარის სანდრო ბრეგაძის სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს გაიმართება. სასამართლო ბრალდებულისთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხზე იმსჯელებს. როგორც „მედიანიუსს" ბრეგაძის მეგობარმა ლადო სადღობელაშვილმა განუცხადა, ბრეგაძეს ბრალად ხულიგნობა ედება, დამამძიმებელი გარემოებებით, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი, მას ორიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება. შეგახსენებთ, რომ სანდრო ბრეგაძე ბენზინგასამართ სადგურთან მომხდარი ჩხუბის გამო დააკავეს. იგი წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილს ხელისუფლებაში თავად ნაციონალები აღარ დატოვებენ

## რას აპირებს გიგა ბოკერია 2913 წელს



შორენა კოწოწაშვილი

**რა თამაშს თამაშობს ბოკერია-უგულავას ჯგუფი, უთხრის თუ არა ის ძირს სააკაშვილის ხელისუფლებას და არის თუ არა ცინიკური მინისტრ ხათუნა კალმახელიძის განცხადებები? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.**

*— ბატონო გელა, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ოპოზიცია აკრიტიკებს და ამ მხრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს. როგორც ყოფილი დეპუტატი, როგორ აფასებთ ბოკერიას მიერ შექმნილ უსაფრთხოების კონცეფციას?*

— საერთოდ, მე ეს მგონია გიგა ბოკერიას მხრიდან გააქტიურების ერთ-ერთი მაჩვენებელი ნიშანი, ანუ იმ ხმების დამადასტურებელი, რომელიც გვეუბნება, რომ ბოკერია აპირებს პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანი იქნება სააკაშვილის ხელისუფლების ჩანაცვლება 2013 წელს. რაც შეეხება თვითონ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, მე ამას თეორიულ ნაწილად მივიჩნევ და თვითონ კონცეფციას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, იმიტომ რომ, ქაღალდზე რა ეწერება, ამას ზოგადად და მით უმეტეს ჩვენი ხელისუფლებისთვის, რომელიც სულაც არ დაგიდევს და არანაირ ანგარიშს არ უწევს ოპოზიციის თუ სხვა გარეშე პირთა პოზიციებს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, კონცეფციაში პირდაპირ ეწერება ჩვენი მტერი რუსეთია თუ შეფარვით ეწერება და პირდაპირ ეწერება, რომ ჩვენი მოკავშირე თურქეთია, უკრაინა და ა.შ. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ეს არის ნიშანი ბოკერიას ჯგუფის გააქტიურებისა. ამასთან, ეს არის ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია, მათ შორის, ხელისუფლების შიგნით მწიფდებოდეს რაღაც გეგმა ან ერთობლივი გეგმა, ან რაღაც ჯგუფის გეგმა, რომელიც მიმართულია სწორედ 2012-2013 წლებში იმ პროცესების განვითარებისა და ინიციატივის ხელში აღებისკენ, რასაც ჰქვია პოსტსააკაშვილისეული ეპოქა. მე, პირადად, არ მჯერა, სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი რომც შეინარჩუნოს, მას ჰქონდეს რეალური ძალაუფლება. რეალური ძალაუფლების ხელში აღების მიზანი აქვს სწორედ იმ ჯგუფს, რომელიც დღეს ჩრდილშია, მაგრამ რეალურად გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის მიმდინარე პროცესებში.

***— იმაზე მიანიშნებთ, რომ სააკაშვილის ფანტაზია და ფუჭი გეგმებია ის, რაც პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა და 2015 წლამდე პერიოდს დაუკავშირა?***

— არა. სააკაშვილს ეს გეგმები, რა თქმა უნდა, აქვს. თუმცა, ხელისუფლების შიგნით უფრო რეალისტურად მოაზროვნე ჯგუფი, ალბათ, ფიქრობს, რომ სააკაშვილის ამ გეგმებს რეალურად განხორციელება არ უწერია ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, თვითონ ქვეყნის შიგნით სააკაშვილის რეიტინგი კატასტროფულად ეცემა; მეორეც — უცხოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, სტრატეგიული პარტნიორები საქართველოსი ყველანაირად ეცდებიან, სააკაშვილმა რეალური ძალაუფლება ვერ შეინარჩუნოს. აქედან გამომდინარე, დგება საკითხი, ვინ უნდა იყოს ის ძალა, რომელსაც ხელში რეალური ძალაუფლება ექნება. რასაკვირველია, ოპოზიციური ძალების მიერ ამ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, სააკაშვილის ხელსიუფლებაში ის წინა პლანზე იყო თუ სადღაც კულისებში, განურჩევლად ყველას მოუწევს პასუხისგება სისხლის სამართლებრივი წესით, იმიტომ რომ მათ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი. ამიტომ რჩება ერთი გამოსავალი: ძალაუფლება გადაიბაროს ჯგუფმა, რომელიც იქნება ისევ სააკაშვილის ხელისუფლების წიაღიდან გამოსული, მაგრამ დასავლეთისთვის უფრო მისაღები იქნება, ვიდრე სააკაშვილი, ვინაიდან სააკაშვილი დღეს მართლაც კომპრომეტირებული ფიგურაა და მისი ხელისუფლების წიაღიდან გამოსული სხვა ძალა იქნება დასავლეთისთვის მისაღები, იმიტომ რომ მათ ასევე აქვთ ფასადი — დემოკრატიის ნიღაბი, რომელშიც დასავლეთს არწმუნებენ, რომ სწორედ ისინი არიან დემოკრატები, ლიბერალები. თუმცა, მათაც არ ექნებათ საზოგადოებრივი მხარდაჭერა. მაგრამ, სამაგიეროდ, მათ იციან ის ფორმები და მეთოდები, რომლითაც ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ — არჩევნების გაყალბება, მოსყიდვა, ძალადობა, შანტაჟი და ა.შ. ეს მეთოდები მათ უკვე დამუშავებული აქვთ. აქ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება იმ პოზიციას, რომელსაც ვანო მერაბიშვილი და ზურა ადეიშვილი დაიკავებენ, რომლებიც ფიზიკურ ძალას ფლობენ, მაგრამ არა — პოლიტიკურს. პოლიტიკურ ძალას ბოკერია-უგულავა-რამიშვილის დაჯგუფება ფლობს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, მერაბიშვილი და ადეიშვილი ბოლომდე გაჰყვებიან სააკაშვილს, ანუ პოლიტიკურ საფლავში ჩაჰყვებიან მას და ბოლომდე მისი ერთგულები დარჩებიან თუ გადაიხრებიან ბოკერია-უგულავას დაჯგუფების მხარეს. მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, რომ პერსპექტიულია ამ შემთხვევაში უფრო ბოკერია-უგულავას ჯგუფი თვითონ ხელისუფლების შიგნით და სააკაშვილი ამ მხრივ ნაკლებად პერსპექტიულია. არჩევანი მათ უნდა გააკეთონ. თუმცა, თუ იმაზე ვილაპარაკებთ, რამდენად რეალური მხარდაჭერა ექნებათ ხალხისგან და უგულავა-ბოკერიას ჯგუფი ეცდება სააკაშვილისგან დისტანცირებას, ხალხისთვის ეს ორივე ჯგუფი არის ხელისუფლების ნაწილი და, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე სააკაშვილისგან გამოჯვნის შემთხვევაშიც მათ პერსპექტივა არ ექნებათ. მომავალში რა მოხდება, ვნახოთ.

***— უკვე იკვეთება, რომ ბოკერია-უგულავას გუნდი სერიოზულად უთხრის ძირს სააკაშვილს და სერიოზულად მუშაობენ ხელისუფლების დასუსტებაზე...***

— არა, მე ასე არ ვიტყოდი, რომ ისინი ხელისუფლების დასუსტებაზე მუშაობენ. როგორც დასუსტებული ხელისუფლების დროს მოქალაქეთა კავშირში იყო ორი დაჯგუფება, ასევე აქაც გამოიკვეთა ორი გუნდი. როგორც მაშინ, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ცდილობდა, მემკვიდრეობა სწორედ მათ მიეღო და მათ გადაებარებინათ შევარდნაძისგან. სწორედ ასეთივე მცდელობა აქვს ბოკერია-უგულავას ჯგუფს. მათ ხელისუფლების დასუსტება კი არა, ძალაუფლების რბილად გადაბარება უნდათ. ისინი ცდილობენ, დაარწმუნონ სააკაშვილი, რომ მისთვის ასე აჯობებს. რაც შეეხება დასუსტებას, იმ თვალსაზრისით, რომ ერთიანი ხელისუფლება დასუსტდეს, ისინი არ მოქმედებენ. ბოკერია-უგულავას ჯგუფი შეეცდება იმ ჯგუფის დასუსტებას, რომელიც, მათი აზრით, ხელისუფლების შიგნით მათ ოპონენტად მოიაზრება.

***— ბოლო პერიოდში საკმაოდ სერიოზული კრიტიკა ისმის არაერთი მინისტრის, მათ შორის, პენიტენციალური სისტემის მინისტრ ხათუნა კალმახელიძის მიმართ. რა მდგომარეობაა ციხეებში და არის თუ არა მართლაც ის ევროპული დონის, რაზეც ხათუნა კალმახელიძე აპელირებს?***

— დავიწყოთ იმით, რომ ინტერნეტში დადებული ბოლო მონაცემებით, საქართველო უკვე დაეწია რუსეთს 100 ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით. თუ საქართველოში დღეს პატიმართა რაოდენობა პირველი იანვრის მონაცემებით 100 ათას მოსახლეზე არის 538, რუსეთში არის 573. ანუ ძალიან ცოტაა განსხვავება. რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, აზერბაიჯანში 100 ათას მოსახლეზე 240 პატიმარია, ხოლო სომხეთში — 149 პატიმარი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო კატასტროფული ტემპებით მიიწევს ლიდერობისკენ. დარჩა მხოლოდ რუსეთისა და აშშ-ის გადასწრება, სადაც 100 ათას მოსახლეზე 750 პატიმარია. ასე რომ, ჩვენ მალე შეიძლება გავხდეთ მსოფლიო ჩემპიონები პატიმართა რაოდენობით. ეს პენიტენციალური სისტემის კატასტროფისკენ წასვლას ნიშნავს. როცა ასეთი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა თავს იწონებს ევროპული ციხეებით, ეს არის სრული ცინიზმი და მარაზმი. არანაირ ევროპულ ციხეებთან ჩვენ შეხება არა გვაქვს. პატიმრების მიმართ მოქცევა სისტემატურად არის არაადამიანური და ღირსების შემლახავი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დამკვიდრებული მეთოდია პატიმრის ყოველდღიურად ე.წ. ჰაერზე გაყვანა. პატიმრები ამაზეც უარს ამბობენ იმის გამო, რომ მათ მიმართ ხორციელდება არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. ხდება მათ მიმართ წიხლის ამორტყმა, თავში წამორტყმა, ხდება უკიდურესი შეურაცხყოფა და ა.შ. პერიოდულად ხდება წამება, ცემა და ა.შ. ამ ფონზე ჩვენ გვეუბნებიან, რომ მათ აქვთ ევროპული ციხეები. რაც შეეხება იმას, რომ ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა პროპაგანდა იმისა, რომ რა კარგი მდგომარეობაა ქართულ ციხეებში. ელემენტარულს ვიტყვი: ბოლო დღეებში ასეთი რეჟიმების მიმართ გამოითქვა ძალიან მკვეთრი კრიტიკული პოზიცია აშშ-ის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის მხრიდან. მათ პირდაპირ მოუწოდეს ყველას, განსაკუთრებით თავის სტრატეგიულ მოკავშირეებს და არაორაზროვნად უთხრეს ამ ქვეყნების ლიდერებს, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან დაპირისპირებისას ისინი ერთმნიშვნელოვნად დაიკავებენ სამოქალაქო საზოგადოების მხარეს. როდესაც ქვეყანაში არ არსებობს მართლმსაჯულების სისტემა, ბუნებრივია, ასეთ ხელისუფლებას მხარდაჭერის ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს. ასეთი მართლმსაჯულებისა და პენიტენციალური სისტემის პირობებში არანაირ წინსვლასა და ევროპულ ციხეებზე არ შეიძლება ლაპარაკი. იმ რეალობიდან, რაც დღეს ქვეყანაშია, თავისუფლად შეგიძლიათ განსაზღვროთ, საით მიდის ეს რეჟიმი.

***— რამდენად საეჭვოდ გამოიყურება ფინანსების ტრიალი ციხეებში და პატიმართა სიკვდილიანობის ფაქტები? კალმახელიძის თქმით, ადამიანები ციხის გარეთაც იხოცებიან.***

— ეს არის კიდევ ერთი ცინიზმი. რაც შეეხება ფინანსების ტრიალს, უკვე ყველამ იცის, რომ ციხეები იქცა ბიუჯეტის შევსების ძალიან მსუყე წყაროდ. ძალიან ბევრი ფული შედის ბიუჯეტში საპროცესო შეთანხმებებით. ამ ცოტა ხნის წინ კი პირადად

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ამერიკა საქართველოს პუტინიზაციას არ დაუშვებს

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუს შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლის დროს აქცენტი 2015 წელზე გააკეთა და გარკვეულ პროექტებზე ისაუბრა. არსებული ვითარება იძლევა იმის საშუალებას, რომ უპრობლემოდ მიაღწიოს სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ამ დრომდე?***

— პირველ რიგში, სანამ ყურადღებას სააკაშვილის აქცენტებზე გავამახვილებდეთ, ანუ 2015 წლამდე, რასაც შემდეგ მოჰყვა გიგა ბოკერიასა და პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია ეროვნული უშიშროების კონცეფციასთან დაკავშირებით, მინდა, ყურადღება გავამახვილო ამერიკის პრეზიდენტის მიერ ორი დღის წინ გაკეთებულ განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მხარს უჭერს იმ ქვეყნებს და იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც დემოკრატიისთვის იბრძვიან და მისი პოზიცია ამ მხრივ იქნება ცალსახა და უცვლელი. მინდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ სერიოზული განცხადებაა. ამერიკის პრეზიდენტი, როგორც წესი, გამოირჩევა სერიოზული განცხადებებით და ეს განცხადებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს განცხადება ნათქვამი იყო არა მარტო, ვთქვათ, სხვადასხვა ქვეყნების დიქტატორი და უზურპატორი პრეზიდენტებისა და ხელმძღვანელების მიმართ, არამედ, რა თქმა უნდა, ნათქვამი იყო სააკაშვილის წინააღმდეგაც. მართალია, სააკაშვილმა საპარლამენტო გამოსვლისას დებატების დროს გააკეთა განცხადება, ნურავის ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს საქართველოში უკვე მოხდაო; ეს დასალევი ჩაი მე უკვე დავლიეო, მაგრამ მას ასევე ნუ დაავიწყდება, რომ ჩაის დალევის შემდეგ მან ქვეყანაში იმაზე დიდი უბედურება დაატრიალა, რაც საქართველოში მანამდე ტრიალებდა, ანუ ის დემოკრატიის ჩაი საქართველოს კვლავ დასალევი აქვს და სააკაშვილმა ამ ჭიქას ძალიან მყარადაც რომ მოჰკიდოს ხელი, მისი ჭიქიდან ამ ჩაის ქართველი ხალხი მაინც დალევს. ასე რომ, ეს განცხადება აშკარად მიმართული იყო გარდა სხვა უზურპატორი და დიქტატორი პრეზიდენტების მიმართ, რა თქმა უნდა, მიმართული იყო სააკაშვილის წინააღმდეგაც. ეს ერთი. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ თუ სააკაშვილი დემოკრატობანას თამაშობს მაინც, მაშინ გაუგებარია, რა 2015 წელზე მიდის საუბარი. მას საპრეზიდენტო ვადა 2015 წლამდე არ აქვს. თუ ის ახალი კონსტიტუციის მიხედვით პრემიერ-მინისტრად დაჯდება გაყალბებული არჩევნების ხარჯზე, გამოდის, რომ ჩვენ ვერ ავცდით შუა აზიისა და სხვა სახელმწიფოების ბედ-იღბალს, სადაც დიქტატორები პოსტებიდან წლების განმავლობაში არ მიდიან. რაც არ უნდა კარგი პრეზიდენტი იყო, ორი ვადა აბსოლუტურად საკმარისია იმისათვის, რომ შენი პროგრამა განახორციელო. თუ შენ ამ პროგრამას ვერ ახორციელებ, ანუ ვერ ახორციელებ ქვეყნის უსაფრთხოების პროგრამას, ვერ ახორციელებ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების პროგრამას, ვერ ახორციელებ სასამართლო ხელისუფლების პროგრამას და ა.შ. ანუ შენ ქვეყანაში ვერ უზრუნველყავი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოება, შენ ვერც 2015 წლამდე და ვერ 2035 წლამდე ამას ვერ გააკეთებ, მარტივი მიზეზის გამო, ამის ელემენტარული არც ადამიანური, არც გონებრივი და არც სხვა რესურსი არ გაგაჩნია. შესაბამისად, საუბარი 2015 წლამდე — ეს არის მინიშნება იმისა, რომ სააკაშვილი არ აპირებს შეიცვალოს, არ აპირებს დათმოს თავისი პოზიციები, რაც დაკავშირებულია მის დიქტატორულ ხასიათთან და უნდა იყოს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი, თანაც ისეთი ქვეყნის პირველი პირი უნდა იყოს, რომელიც მისი მონა-მორჩილი იქნება.



***— ირაკლი ალასანიამ ამ ბოლოს კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რაზეც ადრე რიგი პოლიტიკოსები მიანიშნებდნენ, რომ მაკკეინმაც და ობამამაც გამოკვეთეს, რომ ისინი სააკაშვილის პუტინიზაციის წინააღმდეგი არიან ანუ მხარს არ უჭერენ სააკაშვილის გაპრემიერებას. შესაძლოა სააკაშვილმა დასავლეთის პოზიციას იგნორირება გაუკეთოს?***

— მე აბსოლუტურად ვეთანხმები ირაკლი ალასანიას. ამერიკაში მართლაც არის ზუსტად ასეთი პოზიცია. სააკაშვილს უკვე ღიად და პირდაპირ ეუბნებიან, რომ საქართველოში პუტინიზაციას არ დაუშვებენ და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ მის პრემიერმინისტრობას. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სააკაშვილს არაერთხელ ჰყავს გადაგდებული ამერიკის პოლიტიკური მოთამაშეები, თუნდაც სორისი და კიდევ სხვა ადამიანები ავიღოთ, რამაც ქვეყანაში უამრავი უბედურება დაატრიალა. გარდა ამისა, მე რამდენიმე პოლიტიკოსთან ერთად მიდმივად ვიმეორებდი, რომ სააკაშვილი თვალის ასახვევად ვითომ ამერიკულ თამაშს თამაშობს, მაგრამ სინამდვილეში ეს კაცი არის რუსული სპეცსამსახურების თანამშრომელი და იგი რუსულ თამაშს უფრო თამაშობს, ვიდრე ამერიკულს. აქედან გამომდინარე, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, როდესაც სააკაშვილს ეუბნებიან, წადი და პოლიტიკურ თამაშებს განერიდეო, სააკაშვილი ამას არ აკეთებს. რადგან ის ამას არ აკეთებს, ამიტომ გამოჩნდა გიგა ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, ანუ ბოკერია და სხვა ნაციონალურ მოძრაობაში არსებული დაჯგუფება უკვე სერიოზულად მოქმედებს, როგორმე გაიტანოს სააკაშვილი, იმიტომ რომ, სააკაშვილს არგატანის შემთხვევაში, ეს ჯგუფი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. მათ ყველას ერთად გაიტანს ქართველი ხალხი ქართული პოლიტიკური ასპარეზიდან. ამიტომ ამ საფრთხეებს, განსხვავებით სააკაშვილისაგან, რომელსაც უკვე გონება დაკარგული აქვს და ეს მხოლოდ სააკაშვილს არ დამართია; არის ბევრი ადამიანი, რომელსაც ხელისუფლება და ფული გონებას უმღვრევს და რეალობას მოწყვეტილია. სააკაშვილი რეალობას აბსოლუტურად მოწყვეტილია. მას ჰგონია, რომ კი, მართალია, ამერიკელები ამას ეუბნებიან, მაგრამ ის ამას არ გააკეთებს. სააკაშვილს რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვს. მე პირდაპირ ვეუბნები, თუ ნაციონალური მოძრაობის ის წევრები, რომლებიც ახლა ცდილობენ სააკაშვილის გატანას ქართული პოლიტიკიდან, ამას ვერ მოახერხებენ, ამას ქართველი ხალხი მოახერხებს, ოღონდ უკვე არა მარტო სააკაშვილის, მერაბიშვილისა და იმ ადამიანების, რომლებსაც უშუალოდ დანაშაულები აქვთ ჩადენილი ქართველი ერის წინააღმდეგ და კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულებზეა საუბარი. მაშინ ამ პოლიტიკური ისტორიის ნაგვის ყუთში ის ადამიანებიც აღმოჩნდებიან, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ, მაგრამ, ვთქვათ, კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი არ აქვთ. თუმცა, მინდა გითხრათ, ასეთი ამ ხელისუფლებაში შეიძლება სულ ორი-სამი ადამიანი იყოს.

# ილია მეორე: ამპარტავნობა ბავშვებსაც აქვთ მოდებული



გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, საკვირაო ქადაგებისას ადამიანებში ამპარტავნობის დაგმობაზე ისაუბრა.

— როგორი მარტივი და წმინდა ხალხი იყო ჩვენი წინაპარი. დღეს კი ბავშვებიც კი არ არიან მარტივები, ბავშვებსაც კი აქვთ მოდებული ამპარტავნობა, — დასძინა პატრიარქმა.

მისი თქმით, სადაც ამპარტავნობაა, იქ არის დაცემა.

უწმიდესმა ერს ხალხური გადმოცემების გაფრთხილებისკენაც მოუწოდა. „ხალხურ გადმოცემაში წერია: სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს, ჩემი ძმა ხარო, ამიტომ ყოველდღეს ადამიანი მზად უნდა იყოს ამისთვის. ერთხელ ერთ ფილოსოფოსს ჰკითხეს: „რა არის ფილოსოფოსობაო?“ მან უპასუხა: ნამდვილი ფილოსოფოსი ისაა, ვინც ყოველდღე სიკვდილისთვის ემზადებაო,“ — ბრძანა ილია მეორემ.

მისი თქმით, დღეს ხალხი ცხოვრობს ისეთ დროში, როდესაც ნგრევა უფროა, ვიდრე შენება. არსებობს ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა. ღმერთმა ინებოს, რომ აღარ იყოს ჟამი ნგრევისა და იყოს ჟამი შენებისა.

ილია მეორის განმარტებით, ღმერთი არის სიყვარული და ამ სიყვარულმა მიიყვანა ხალხი ტაძრამდე. სწორედ ეს სიყვარული უნდა გააძლიეროს ერმა.

შეგახსენებთ, გუშინ სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქთან ერთად, საღმრთო ლიტურგიაში თანამწირველები ათონის მთის მეორე მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი ეფრემი და ბელორუსიის ეპისკოპოსი სერაფიმე გახლდნენ. **მედიანიუსი**

## ჩრდილო კავკასიაში ანტივაჰაბიტური მოძრაობა შეიქმნა

ჩრდილო კავკასიაში ახალი იატაკქვეშა ორგანიზაცია „შავი შევარდნები“ გამოჩნდა, რომლის წევრებიც საკუთარ თავს ანტივაჰაბიტებს“ უწოდებენ და ტერორისტებს ომს უცხადებენ, - ამის შესახებ გამოცემა „ნიუსლენდი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, მათ ერთ-ერთი პირველი თავდასხმა ხელისუფლების მიერ ტერორიზმის მუხლით ძებნილ ასტემირ მამიშევზე განახორციელეს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „შავი შევარდნები“ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოგონილია.

— ნებისმიერ შემთხვევაში ეს ყველაფერი ჩრდილოკავკასიაში შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს, სადაც ტერაქტები და მკვლელობები ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, — აღნიშნავს გამოცემა. **ინტერპრესნიუსი**

## იმერეთის სამხარეო პოლიციამ ქურდობაში ბრალდებული დააკავა

იმერეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთში მცხოვრები 1966 წელს დაბადებული გელა ლევანის ძე გერაძე დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებული გაქურდვის მიზნით 7 იანვარს მეზობლის ანზორ ლალიძის საცხოვრებელი ბინის ეზოში მდებარე ავტოფარეხში შეიჭრა, საიდანაც ფარულად წაიღო 1 600 აშშ დოლარი და 300 გრამამდე ოქროს სამკაულები.

იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლება გელა გერაძე საკუთარ სახლში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიების შედეგად ამოღებულია ნაქურდალი ნივთების ნაწილი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ოთხიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

# სააკაშვილს ხელისუფლებაში თავად ნაციონალები აღარ დატოვებენ

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

მინისტრმა კალმახელიძემ განაცხადა, რომ 24-საათიანი გრძელვადიანი პაემანი იქნება ფასიანი და ელირება 60 ლარი. ეს სააკაშვილის ხელისუფლებას დიდ მიღწევად მიაჩნია, არადა, მანამდე გრძელვადიანი პაემანი იყო სამდღიანი და თანაც უფასო. 30 ათას პატიმარზე რომ ვიანგარიშოთ, მინიმუმ 2 მილიონი შევა პატიმრების ხარჯზე ბიუჯეტში. ეს არის პენიტენციალური სისტემიდან ფულის ბიუჯეტში, ანუ საკუთარ ჯიბეებში გადაქაჩვის კარგი საშუალება. ამ ფულს კი როგორ მოიხმარენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველამ კარგად ვიცით, ინიშნავენ რამდენიმე ათასლარიან პრემიებს და ა. შ.

***— ანუ იმაზე მიანიშნებთ, რომ სახელმწიფო კი არ ხარჯავს ფულს პატიმრების შენახვაზე, არამედ, პირიქით, პატიმრები საკუთარ თავსაც ინახავენ და ხელისუფლებასაც აფინანსებენ.***

— რა თქმა უნდა. მართო ოფიციალურ ინფორმაციას რომ გადახედოთ, რამდენი მილიონია გადარიცხული მარტო საპროცესო შეთანხმებით, ეს თანხა გაცილებით აღემატება იმას, რაც ბიუჯეტით ოფიციალურად არის გაწერილი პენიტენციალურ სისტემაზე. აქედან გამომდინარე, ეს არის ხელისუფლების წევრთა ჯიბეების, ანუ ბიუჯეტის შევსების წყარო. როდესაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ციხეში უამრავი ფული ტრიალებდა და მას კანონიერი ქურდები განაგებდნენ, ეს მართლაც ასე იყო. ამ ხელისუფლების პირობებში კი მოხდა ამ დიდი ფულის ტრიალის ლეგალიზაცია. ქურდული სამყარო ჩაანაცვლა ხელისუფლებამ. განსხვავება ის არის, რომ მაშინ თუ ეს დანაშაული იყო და ამის გამო შესაძლოა პირი პასუხისგებაში მიეცათ, დღეს ეს ე.წ. ობშჩიაკი არის „გაპრავებული“ და შედის სახელმწიფო ბიუჯეტში, ანუ ჩინოვნიკთა ჯიბეეში. პატიმრებს ამ მხრივ არანაირი შეღავათი არა აქვთ, იმიტომ რომ ქურდული სამყარო ჩანაცვლდა ოფიციალური ქურდული სამყაროთი, რომელსაც წარმოადგენს ხელისუფლება.

# პრეზიდენტი მკვლელების მიმართ მოწყალებას იჩენს

**გასული კვირის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰილარი კინტონთან ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა ტელეხიდში მიიღეს მონაწილეობა. ტელეხიდის დროს ქართველმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დემოკრატიის ფასეულობაზე დაუსვეს სახელმწიფო მდივანს კითხვა.**

**ხელისუფლების დამოკიდებულება, რომ ჯერ ეკონომიკური პროგრესია მისაღწევი და რეფორმები გასატარებელი, შემდეგ კი — დემოკრატია, ამაზე ჰილარი კლინტონმა ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ დემოკრატიული ფასეულობები შეუცვლელია და დემოკრატიის გარეშე არ არსებობს რეფორმის პროცესი, თუნდაც ეკონომიკური მიმართულებით.**

**ამ საკითხზე ინტერვიუ ვთხოვეთ სამხედრო ექსპერტს ირაკლი სესიაშვილს.**



**ნათია ხურცილავა**

***— ბატონო ირაკლი, ბევრი პრობლემა დაასახელა ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა, მაგრამ მას არ უსაუბრია დემოკრატიაზე. რა პრობლემა არის ამ კუთხით?***

— ამ კუთხით სააკაშვილს სუსტი წერტილები აქვს და ამიტომ არ საუბრობს ის ამ საკითხზე, არადა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ დემოკრატიის განვითარება და დემოკრატიის არსებობაა ქვეყანაში. თუ დემოკრატიას ახსენებდა ამჯერადაც უნდა ეხსენებინა ის დემოკრატიული ტალღა, რომელიც მან პარლამენტში წინა საპრეზიდენტო გამოსვლის დროს გაახმოვანა. ამ ტალღას ჩვენი საზოგადოების ფეხებიც კი არ დაუსველებია. ამიტომ თუ იტყოდა რამეს, მაშინ ისიც უნდა ეთქვა, რა გააკეთა ამ მიმართულებით. არ დაგვავიწყდეს, რომ რამდენიმე ხნის წინ ძალიან ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დემოკრატიის რეიტინგები, სადაც როგორც იტყვიან, ჭე კლასში ვართ. თუ პრეზიდენტი ახსენებდა დემოკრატიაზე რამეს, იმის შიში ჰქონდა, რომ ოპოზიცია ამაზე პასუხს მოითხოვდა.

***— არც ოპოზიციას არ ჰქონია დიდი გამოსვლა დემოკრატიაზე...***

— დიახ, უნდა ითქვას ოპოზიციის სუსტი გამოსვლის შესახებ ამ კუთხით, მათ დემოკრატია საერთოდ არ ახსენეს და ეს საკითხი საერთო კონტექტში გაიყვანა სხვა საკითხებთან ერთად. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სწორედ დემოკრატიის დაბალი ხარისხი, უფრო სწორად, ფაქტიურად ავტორიტარული რეჟიმი არის ნომერ პირველი გამოწვევა და საფრთხე ჩვენი სახელმწიფოსთვის. ამ კუთხით პირველ რიგში ოპოზიციამ უნდა დააყენოს მთლიანი ძალაუფლების მონოპოლიზაციის პრობლემა, რომელიც პრეზიდენტს აქვს. ნაციონალურ მოძრაობას და მმართველ პოლიტიკურ ძალას ასი პროცენტით უკავია მთელი ძალაუფლება ქვეყანაში და წარმოუდგენელია დემოკრატიაზე ვისაუბროთ. ეს არის პირდაპირი ნიშანი დიქტატურული მმართველობის. ეს არის დემოკრატიული ღირებულებების პირველი პრინციპის დარღვევა, რაც ნიშნავს ძალაუფლების გადანაწილებას და თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, რაც ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არ არის.

***— პრეზიდენტმა 2015 წელი ახსენა, თქვენ რას ფიქრობთ, რატომ?***

— რატომ დაასახელა პრეზიდენტმა 2015 წელი? მე ვფიქრობ, პრობლემა იმაშია, რომ 2012-2013 წლებში ქვეყანაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა ძალიან მწვავე კრიზისში შევა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის. ამ ვითარებაში პრეზიდენტს გაუჭირდება მოსახლეობა მორიგი ცრუ დაპირებებით მოქრთამოს. ამიტომ ის წინასწარ ამზადებს საზოგადოებას იმ მოლოდინებისთვის, რომ არჩევნების წინ საზოგადოებამ რამე პრეტენზია არ წაუყენოს პრეზიდენტს, ამაზე პრეზიდენტს უკვე აქვ საპასუხები: შედეგები 2015 წელს უნდა მივიღოთ. ეს არის პირდაპირ პასუხისმგებლობის არიდება იმ ვალდებულებებზე, რომელიც ამ ხელისუფლებამ მოსახლეობის წინაშე აიღო.

***— თუ ვადის გაგრძელებას აპირებს?***

— სუბიექტური ახსნა მაქვს იმის, თუ რატომ არ იქნება სააკაშვილი მომავალი პრემიერ-მინისტრი.

***— რა ახსნა გაქვთ?***

— ერთი ის, რომ, მას არ უნდა პუტინი იყოს. პუტინს ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, ის ნამდვილად მოგვევლინებოდა, როგორც პრემიერი. მეორეს მხრივ პრეზიდენტს ეშინია ძალაუფლება დაუტოვოს თუნდაც მის ერთგულებს. პრეზიდენტი არის ის კაცი, რომელიც თავის წევრებსაც არ ენდობა. ამის ნათელი მაგალითია მისი ურთიერთობა თუნდაც ოქრუაშვილთან, ბურჯანაძესთან, ნოღაიდელთან და ა.შ. ამიტომ ის სავარაუდოდ შეეცდება დარჩეს ხელისუფლებაში, მაგრამ არა პრემიერ-მინისტრად, რადგან იცის, რომ პუტინს შეადარებენ. ვფიქრობ, ის უფრო პარლამენტის თავმჯდომარეობისკენ წავა. არც ის არის გამორიცხული, რომ რამე ახალი პოზიცია შეიქმნას, რომელიც შეიძლება სახელმწიფო მმართველობაში ნოუ-ჰაუც იყოს. ეს ყველაფერი პირველ რიგში დამოკიდებული იქნება იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რომელიც არჩევნებამდე მიგვიყვანას, ასევე ეს იქნება იმ პოლიტიკურ ბალანსზე, რომელიც იქნება იმ მომენტისთვის. ნაციონალურ მოძრაობაშიც შეიძლება გაჩნდეს ახალი პოლიტიკური მიმართულებებიც. როგორც ცნობილია, კახა ბენდუქიძე, ლევან რამიშვილი ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას აფუძნებენ, მათ შორის არიან ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან და თავს სავარაუდოდ სწორედ არჩევნების წინ გამოყოფენ. შეიძლება პრეზიდენტმა არჩევანი მათ სასარგებლოდ გააკეთოს.

***— თქვენ ფიქრობთ ბოკერიაზე?***

— ნაადრევია ამაზე საუბარი. ჩვენს ქვეყანაში ბევრი საკითხის ხელოვნური დემოკრატიზაცია ხდება. პრეზიდენტი ამ გზით წავა, შეიძლება ნაციონალური მოძრაობის პირმშოები გაჩნდეს, რომლებიც ერთმანეთისგან თითქოსდა განსხვავდებიან, მართალია ისინი ერთმანეთისგან სახელი და გვარით განსხვავდებიან, მაგრამ რეალურად ერთი მიზანი ამოძრავებთ, რომ ამ რეჟიმს ძალაუფლება შეუნარჩუნონ, მაგრამ ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, დამოკიდებულია პოლიტიკურ პროცესზე. თავად ოპოზიციაზე და რა თქმა უნდა, ხალხზე. რა არჩევანს გააკეთებს ხალხი. ამ შემთხვევაში ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის პრეზიდენტმა მთელი მორიგი ტყუილების გუდა მოხსნა. მთავარია ამ ტყუილებს ჩვენი საზოგადოება როგორ იღებს. ჩვენ ვხვდებით ტყუილების მსხვერპლი თუ გვესმის ყველაფერი და ვეცდებით, რომ ადეკვატური პასუხი გავცეთ.

***— ჯერი საზოგადოებაზეა?***

— რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენი მოქალაქეების სამოქალაქო პასუხიმგებლობაზე. არ შეიძლება არ აღვნიშნო ის ფაქტი, როდესაც პრეზიდენტი ამბობს: თავის მოქალაქეზე ძალიან კარგი რომ ჩაკლესო. ამორალურია, როდესაც პრეზიდენტი ამას ამბობს საკუთარ მოქალაქეზე მიუხედავად იმისა, რომ რა რა ჩაიდინა მან. გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რომლებიც სასტიკად მოკლეს. მკვლელების მიმართ პრეზიდენტი იყო არა თუ მკაცრი, არამედ მან ამ ადამიანების მიმართ შეწყალება გამოიჩინა, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ ჩვენ სერიოზული დისკრიმინაციული პოლიტიკა გვაქვს ჩვენი მოქალაქეების მიმართ.

# სოფლის მეურნეობისთვის 69,2 მილიონი ლარია გამოყოფილი



ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საზოგადოების მოტყუებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ორი თვის წინ დამტკიცებულ ბიუჯეტში, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის 69,2 მილიონია გათვალისწინებული და არა 150 მილიონი, როგორც ეს პრეზიდენტმა თქვა.

როგორც საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ბურჯანაძის პარტიის მთავარი საბჭოს წევრმა თამარ ზაალიშვილმა განაცხადა, გარდა ამ ტყუილისა, პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტის მოხსენებაში სხვა ბევრი არასწორი ინფორმაცია იყო.

მისი თქმით, სააკაშვილის დანაპირები 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერებისთვის საჭირო

თანხა 2010 წლის დეკემბრის ბოლოს მიღებულ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში გათვალისწინებული არ არის.

— საინტერესოა, პრეზიდენტის მოხსენების მომზადების პროცესში რატომ უნდა წყდებოდეს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, დამატებით 150 მილიონი ლარის გამოყოფის საკითხი? ყოველივე აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ ხორციელდება საბიუჯეტო კოდექსის თანახმად დადგენილი საბიუჯეტო პროცესი. ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი - ფორმალური ხასიათისაა და მასში ასახული და ფისკალური პროგნოზები შორსაა შედეგებზე ორიენტირებისგან. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მხარჯავი დაწესებულებების 2011-2014 წლების პრიორიტეტებიც ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასეთ ვითარებაში მინიმალურია ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის მონაწილეობის ხარისხი - ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს და ეს კაცი მიხეილ სააკაშვილია, — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრმა თამარ ზაალიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე.

**მედიანიუსი**

# საქართველოს დიდი ბრიტანეთის საპარლამენტთაშორისო კავშირის ჯგუფი ესტუმრება

დღეს საქართველოს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საპარლამენტთაშორისო კავშირის ჯგუფი ვიზიტით ეწვევა. დელეგაცის წევრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე მიხეილ მაჭავარიანს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილს, საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას, საქართველოს პარლამენტის დიდი ბრიტანეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრებს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიორგი ბოკერიას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა პროფესიული კავშირებისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

23 თებერვალს ისინი დუშეთის რაიონის სოფელ ოძისს ეწვევიან, სადაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდებიან და რეგიონში არსებულ ვითარებას გაეცნობიან. დაგეგმილია მათი სტუმრობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან.

ბრიტანელ სტუმრებს მცხეთაშიც უმასპინძლებენ. მათ იქ ისტორიული ძეგლების დათვალიერების საშუალება მიეცემათ.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საპარლამენტთაშორისო კავშირის ჯგუფის ვიზიტი საქართველოში 24 თებერვალს დასრულდება.

**მედიანიუსი**

„%!!

# რა უნდა გააკეთოს ამერიკამ საქართველოსთვის?

თეა მარხვაი ე

**ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით იმას გვიმტკიცებს, რომ რუსეთთან პრობლემის მოგვარებაში საერთაშორისო თანამეგობრობა დაგვეხმარება. ყველაზე დიდ იმედებს ჩვენებურები, რასაკვირველია, ამერიკაზე ამყარებენ, უფრო სწორად, ამყარებდნენ. ობამას მოსვლის შემდეგ ვაშინგტონმა ჩვენ მიმართ დამოკიდებულება აშკარად შეცვალა. ობამა ახლა რუსეთთან გადატვირთვით არის დაკავებული.**

**ამის გამო ობამას ამერიკაშიც ბევრს საყვედურობენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ნერვებს იშლის სენატორი მაკკეინი. ამერიკული პროგრესის ცენტრში მიაჩნიათ, რომ ამერიკამ საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართ უფრო დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს. საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ამერიკული პროგრესის ცენტრმა სპეციალური ანგარიში მოამზადა.**

ამ ანგარიშის ავტორები ამერიკული პროგრესის ცენტრის დირექტორის მოადგილე რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში, ამ ცენტრის ნაციონალური უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის მკვლევარი სამუელ ჩარაპი და კორი ველტი არიან. ეს უკანასკნელი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის, ელიოტის სახელობის საერთაშორისო სკოლასთან არსებული ევროპული, რუსული და ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ამ ინსტიტუტის ლექტორი. ამერიკული პროგრესის ცენტრის ანგარიში თავის საიტზე „ფორეიგნპრესმა" გამოაქვეყნა.

სემუელ ჩარაპისა და კორი ველტის მოსაზრებით, საქართველო მომავალში ორი ურთიერთგამომრიცხავი პერსპექტივის არჩევის წინაშე დგას.

— პირველი ვარიანტი — ეს არის ბერლინის თანამედროვე ვერსიის ტიპის გაყოფილი საქართველო. ამ ვერსიით, კონფლიქტები, რომლებსაც ქვეყანა აწყდება, განიხილება, როგორც ცივი ომი კავკასიაში, როგორც ხანგრძლივი და დიდწილად უსისხლო გამიჯვნა მხარეებისა, რომელთა შორის გარე ძალების დახმარებით იმდენად ღრმა და საფუძვლიანი განხეთქილებაა, რომ კომპრომისი თავიდანვე გამორიცხულია. ამ ვარიანტის თანახმად, კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუკი მეორე მხარე დათმობაზე მიდის, მისი მცხოვრებლები ანგრევენ და ანადგურებენ ხელოვნურად შექმნილ კედლებსა და დაბრკოლებებს, ხოლო მისი მთავრობა თავისი მფარველისა და ქომაგის დასუსტების გამო თვითლიკვიდაციას აცხადებს, — მიაჩნიათ ამერიკელ ექსპერტებს.

მათი განმარტებით, ბერლინის მსგავსი სიტუაციის დასასრული ქართული კონფლიქტებისთვის ნაკლებ სავარაუდოა გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი.

— რუსეთისა და კიდევ სამი ქვეყნის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებმა რაღაც მაგიური ხერხებით უნდა „გადალახონ" ამასწინანდელი სამხედრო მოქმედებებითა და 1990-იან წლებში ქართველებთან ომებითა და კონფლიქტებით გამოწვეული წყენა და უკმაყოფილება. მათ ასევე მოუწევთ საქართველოს მთავრობის აღიარება საკუთარ მთავრობად და უარის თქმა დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობისკენ მისწრაფებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვნური სულაც არ არის საქართველოს ხალხებს შორის უთანხმოება, — აღნიშნულია ანგარიშში.

ამავე ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთმა მოულოდნელად და რადიკალურად უნდა შეცვალოს საკუთარი პოლიტიკა, გააუქმოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილება, უარი უთხრას მათ ეკონომიკურ დახმარებაზე და ჯარები გაიყვანოს.

ასეთი გზა, ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, რეალობისგან შორს დგას. მათ არ სჯერათ, რომ რუსეთის ხელისუფლება კურსს რადიკალურად შეცვლის, ანდა რუსები აღიარებენ იმას, რომ ეს კურსი მცდარი გახლდათ.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ლოდინი მოუწევს. ლოდინი იმისა, თუ როდის გამეორდება ბერლინის



ისტორია კავკასიაში. იგივე ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ასეთი ლოდინი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს.

— გასული ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ, რომ სტატუს კვოს შენარჩუნებაში კარგი არაფერია: არც ქართულ ელიტას, არც ქართველ საზოგადოებას არ შეუძლია, ქვეყანა დაურეგულირებელი კონფლიქტების შენარჩუნების პირობებში განავითაროს. ქვეყანამ, რომელიც ყაზარმულ მდგომარეობაშია, საეჭვოა, საკუთარი ეკონომიკა წარმატებულად განავითაროს, დემოკრატიული გარდაქმნები განახორციელოს და, ამავდროულად, გაურკვეველი პერიოდით მსოფლიოს პერიფერიაზე დარჩეს. დროთა განმავლობაში ის შეიძლება საერთაშორისო აპათიის ობიექტიც გახდეს, რადგან დასავლელი მეგობრები დაიღლებიან იმისგან, რომ საქართველო ნებისმიერ საერთაშორისო ღონისძიებას კონფლიქტებისა და დავების გაღვივებისა და რუსეთთან მუდმივი ჩხუბისთვის იყენებს, — ვკითხულობთ ანგარიშში.

ჩარაპისა და ვოლტის დასკვნით, ეს სცენარი საქართველოს არ გამოადგება. ასე ვერც დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს და ვერც ევროატლანტიკურ სივრცეში მოხვდება.

ამერიკელი ექსპერტების მოსაზრებით, არის მეორე სცნარიც. ეს სცენარი კონფლიქტის ტრანსფორმაციას ითვალისწინებს.

— ამ სცენარის თანახმად, დაძაბულობა შესუსტდება, სადემარკაციო ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანები ერთმანეთს დაუახლოვდებიან, ნდობა განმტკიცდება, სავაჭრო კავშირები აღდგება და ხელისუფლებებს შორის კონტაქტი ნორმად ჩამოყალიბდება. ამ პროცესის წყალობით მხარეები არა მხოლოდ შეწყვეტენ მტრობას, არამედ წინსვლის გზებთან დაკავშირებით საერთო შეხედულებები ჩამოუყალიბდებათ. წლებისა და ათწლეულების შემდეგ ამ პროცესს შესაძლოა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების ფარგლებში კონფლიქტების სამართლიანი და მშვიდობიანი გადაწყვეტა მოჰყვეს. შედეგად, სრულად აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ხალხები შერიგდებიან, შეიქმნება ის კონსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითმმართველობისთვის გარანტიებს შექმნის, საქართველოს უცხო ქვეყნის ჯარები დატოვებენ, რომლებიც იქ მთავრობის თანხმობის გარეშე იმყოფებიან, ასევე დარეგულირებდა რუსულ-ქართული ურთიერთობები, — ვკითხულობთ ამერიკული პროგრესის ანგარიშში.

ექსპერტების განმარტებით, აშშ-ის ნაციონალური ინტერესებისთვის მეორე სცენარი აშკარად უპირატესია. ამ სცენარის უპირატესობის დასამტკიცებლად მათ რამდენიმე მაგალითი მოჰყავთ. ექსპერტების აზრით, თუ ამერიკა საქართველოს ამ კონფლიქტების მოგვარებაში ვერ დაეხმარება, მისი რეპუტაცია შეილახება, რადგანაც თავის დროზე აშშ-მ თავის თავზე აიღო საქართველოს კონფლიქტების მოგვარებისთვის ხელშეწყობის ვალდებულება.

— გაყოფილი საქართველო — ეს არის არასტაბილური საქართველო, რომელსაც ამ არასტაბილურ რეგიონში სასტიკი კონფლიქტებისა და ძვრების ახალი სერიის გამოწვევა შეუძლია. მესამე — არსებული სტატუს კვოს შენარჩუნება სერიოზულ დაძაბულობას ქმნის მთელ საერთაშორისო სისტემაში და ხელს უშლის აშშ-ის სხვა მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებას. მეოთხე — 1991 წლიდან შეერთებული შტატები მუდმივად საუბრობს იმაზე, რომ მისი მიზანი რეგიონში, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების რეალიზაციის ხელშეწყობაა. მოუგვარებელი კონფლიქტები ასეთ გარდაქმნებს ხელს უშლის როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, — ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, ამერიკა უპირატესობას პირველ სცენარს ანიჭებს, რომელიც კავკასიური ბერლინის კედელს ითვალისწინებს. ექსპერტების განმარტებით, კონფლიქტების ტრანსფორმაცია საქართველოში ამერიკის პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი არ გამხდარა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უნდა შემუშავდეს ახალი გეგმა, რომლის მთავარ მომენტად კონფლიქტების განუახლებლობა და ნდობის აღდგენა უნდა გახდეს. მათი აზრით, ასეთი გეგმის მიღება ყველა მხარის ინტერესში შედის. მისი რეალიზაცია კი არ მოითხოვს მხარეების მხრიდან პოზიციის გადახედვას არც ერთი იმ საკითხის ირგვლივ, რომელზეც ისინი ვერ თანხმდებიან.

— უახლოეს პერსპექტივაში ობამას ადმინისტრაციამ საკუთარ პოლიტიკაშიც უნდა შეიტანოს ცვლილებები, კონფლიქტების დარეგულირებისაკენ მიმართოს რა მთელი ძალისხმევა. კერძოდ, შეერთებულმა შტატებმა აუცილებლად უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები: მთელი რიგი განცხადებები უნდა გააკეთოს იმის თაობაზე, რომ კონფლიქტებისა და რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაცია აღნიშნულ რეგიონში ამერიკული პოლიტიკის პრიორიტეტია; განავითაროს იდეა იმის შესახებ, რომ 2008 წლის ომის წინ ყველა მხარის ქმედებებმა შეუწყო ხელი უკიდურესად მყიფე და სახიფათო სიტუაციის ჩამოყალიბებას, რასაც, საბოლოო ჯამში, სამხედრო მოქმედებების დაწყება მოჰყვა და, ამავდროულად, უარი თქვას მხარეების ვერსიებზე; ხელი შეუწყოს რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაციას; მინიმუმამდე დაიყვანოს საერთაშორისო ფორუმებზე წარმოქმნილ უთანხმოებათა გავლენა პრინციპული საკითხების გადაწყვეტაზე, რადგან ეს ხელს უშლის კონფლიქტების მოგვარების პროცესის წარმატებას, შეიმუშაოს თანმიმდევრული პოლიტიკა თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების საკითხებში, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს დარეგულირების პროცესთან; კონფლიქტების დარეგულირების სტრატეგიის ფარგლებში მოაქციოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მომავალი ურთიერთქმედების ყველა ელემენტი და იმავეს მიაღწიოს ევროკავშირისგან, — ამბობენ ამერიკელი ექსპერტები.

ანგარიშის წინასიტყვაობაში ამერიკელი მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ისინი არავის სთავაზობენ კონფლიქტების დარეგულირებისთვის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

— მიგვაჩნია, რომ ამაზე კონცენტრირებას აზრი არა აქვს მანამ, სანამ პროცესში აქტიური მოძრაობა არ დაიწყება, მაგრამ წინასწარ გეგმაში გთავაზობთ მთელ რიგ უფრო თამამ და პერსპექტიულ შემდგომ ნაბიჯებს, რომელთა ჩართვაც აუცილებელია კონფლიქტების მოგვარების მიმდინარეობისას, ან პოლიტიკურ დარეგულირებამდე, ან პოლიტიკური დარეგულირებისას. ამ ეტაპზე ამ საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ მათი განხილვა აუცილებელია მას შემდეგ, რაც სხვა ზომები გატარდება. ეს ნაბიჯებია: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებიდან და თავად ამ ტერიტორიებზე გადაადგილების აბსოლუტური თავისუფლება; აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იარაღის შენახვასა და ტარებაზე აკრძალული ზონების შექმნა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების თანახმად იქ არსებული სამხედრო ძალების ომამდელ რაოდენობამდე თანდათანობითი შემცირება (2008 წლის აგვისტო); სამხრეთ ოსეთში შიდა დევნილების დაბრუნება, ასევე მოლაპარაკებების გააქტიურება აფხაზეთიდან დევნილების უფლებათა პრაქტიკულ განხორციელებაზე; სამხედრო დანაშაულების გამოძიება, — ვკითხულობთ ანგარიშში.

ამერიკული პროგრესის ანგარიში ჩვენს ხელისუფლებას ძალიან მოეწონება. ჩვენი ჩინოვნიკები იტყვიან, რომ ეს საქართველოსთვის არნახული მხარდაჭერაა. ამასთან, დაგვარწმუნებენ, რომ მსოფლიო არ დაუშვებს, აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგოთ.

ჩვენც, ალბათ, დავიჯერებთ. დავიჯერებთ იმიტომ, რომ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ტერიტორიები დავკარგეთ.

## მოსკოვმა თურქეთსა და სომხეთს შორის შუამავლის როლი იკისრა

მოსკოვი უახლოეს პერიოდში სომეხი და თურქი დიპლომატების შეხვედრის ორგანიზებას გეგმავს. „რეგნუმის" ინფორმაციით, ორი ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრა მოსკოვში 2011 წლის მარტში გაიმართება.

საინფორმაციო სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, ამ შეხვედრის საკითხი რამდენიმე ხნის წინ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ფიროდინ სინირლიოღლუს მოსკოვში ვიზიტის დროს განიხილებოდა. თუმცა თურქული მხარე, სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის კვლავ ითხოვს მთიანი ყარაბაღის კოფლიქტის დარეგულირებას. თურქული წყაროს თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზებისთვის ანკარა თანახმაა, სომხეთმა აზერბაიჯანის რამდენიმე "ოკუპირებულ ტერიტორიაზე" უარი თქვას. „რეგნუმის" ინფორმაციით, სწორედ ამ თემის განსახილველად ერევანში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ჩავიდა. ეს საკითხი განიხილებოდა ერევანში აშშ-ს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის დეიმს სეინბერგის ვიზიტისას.

რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შუამავლობით, 5 მარტს სოჭში ერთმანეთს სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები შეხვდებიან. ხოლო ერთი კვირის შემდეგ მოსკოვში თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტიიპ ერდოგანი ჩავა.

თურქეთმა აზერბაიჯანულ მხარეს უკვე აუწყა პრემიერ-მინისტრის მომავალი შეხვედრის შესახებ. თებერვლის დასაწყისში ბაქოში იმყოფებოდა თურქული დაზვერვის შეფი ხაკან ფიდანი, რომელმაც აზერბაიჯანის ხელმძვანელობას მოსკოვის მოლაპარაკებების შინაარსი შეატყობინა.

**მედიანიუსი**

## გრიგოლ ვაშაძემ ყატარში მოლაპარაკებები გამართა



ყატარში სამუშაო ვიზიტით მყოფმა ქართულმა დელეგაციამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ხელმძღვანელობით, ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებები გამართა.

ვაშაძე უკვე შეხვდა აღნიშნული ქვეყნის ენერგეტიკისა და მრეწველობის მინისტრებს, ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტსა და ყატარის ავიახაზების აღმასრულებელ დირექტორს. შეხვედრაზე ეკონომიკის სფეროში მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრეს. ასევე განიხილეს ენერგო და ბიზნეს პროექტები რომლის განხორციელების სურვილიც ყატარელმა ბიზნესმენებმა გამოთქვეს.

— ვილაპარაკეთ იმ კონკრეტულ გეგმებზე, რაც განხორციელდება ყატარის უმსხვილეს კომპანიებსა და საქართველოს შორის. კერძოდ, რომელ სფეროებში განხორციელდება ინვესტიციები, ამის შესახებ მოლაპარკებები უკვე დასრულების პირასაა, — აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ

ყატარის ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარის შეიხ ფასლა ალთანის განცხადებით, კი, ყატარელი ბიზნესმენების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს ტურისტული პოტენციალი.

— ჩვენ ძალიან დავინტერესდით საქართველოთი. ამიტომ მეტი უნდა ვიცოდეთ ამ ქვეყნის შესახებ. ასეთი ღია შეხვედრები კი ამას ხელს ძალიან უწყობს,—აღნიშნა შეიხ ფასლა ალთანმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალ ყატარის პრემიერ-მინისტრსა და ემირს შეხვდება.

**მედიანიუსი**

## თბილისში ისრაელის საელჩო მუშაობას დღეს განაახლებს

თბილისში ისრაელის საელჩო მუშაობას დღეიდან განაახლებს. შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

როგორც „მედიანიუსს" საგარეო უწყებაში განუცხადეს, საელჩომ მუშაობა ტექნიკური შეფერხების გამო შეწყვიტა და ხვალიდან მოქალაქეების მიღება აღდგება.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში ისრაელის საელჩოების დახურვის შესახებ ინფორმაცია ირანულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს. ამის მიზეზად ტერორიზმის საფრთხე დასახელდა.

ისრაელის მედიის ინფორმაციით კი, საქართველოში ისრაელის ელჩი იცხაკ გერბერი თბილისში იმყოფება, თუმცა ებრაელმა ჟურნალისტებმა მასთან დაკავშირება ვერ მოახერხეს.

**მედიანიუსი**

## 16 წლის გოგონა განსაკუთრებული სისასტიკით არის მოკლული

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახში დაკარგული 16 წლის ევგენია ადუაშვილი შაბათს სამართალდამცავებმა მოკლული იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით არის ჩადენილი. გოგონას ყელი აქვს გამოჭრილი და შემდეგ დამწვარია. ევგენია ადუაშვილს სამართალდამცავებმა დმანისის ერთ-ერთ მიტოვებულ საწარმოში, საკანალიზაციო ჭაში მიაკვლიეს. დაკავებულია მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 17 წლის ჯონი იასალაშვილი. პოლიციამ გარდაცვლილის ცხედარს სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე მიაგნო.

გოგონას პოლიცია 11 თებერვლის შემდეგ ეძებდა. ევგენია ადუაშვილი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახში მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. ის სახლიდან 11 თებერვალს, ქალაქ დმანისში კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე წავიდა და მას შემდეგ მისი კვალი დაკარგული იყო.

**ინტერპრესნიუსი**

# ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა უნდა გაიზარდოს

ნანა მიშელაშვილი

საფრთხეების შეფასების დოკუმენტის დეტალები მედიისთვის დახურულია. მასში რისკებზე, საფრთხეებზე და მათ პრევენციაზეა საუბარი. უფრო მეტი კონკრეტიკისგან კი ნდობის ჯგუფის წევრები ჟურნალისტებთან საუბარში თავს იკავებენ.

ნდობის ჯგუფის შეკრება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძემ გასულ კვირას დააანონსა. გივი თარგამაძის წინადადებას შეკრების შესახებ ნდობის ჯგუფის წევრები დაეთანხმნენ.

რამდენიმეხნიანი ინტერვალის შემდეგ გივი თარგამაძე კომიტეტების გაერთიანებულ სხდომას დაესწრო, სადაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე მსჯელობდნენ.

რამდენიმე თვეა, რაც გივი თარგამაძე ჟურნალისტებს თვალით არ უნახავთ. გასულ პარასკევს გივი თარგამაძე სამი კომიტეტის სხდომაზე მივიდა, რაც არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ, ზოგიერთ დეპუტატსაც გაუკვირდა. კარგა ხანია, რაც გივი თარგამაძე არც კომიტეტის სხდომას ესწრება და არც პარლამენტის ბიუროზე დადის.

ჟურნალისტებთან საუბარში გივი თარგამაძემ ნდობის ჯგუფთან დაკავშირებით ისაუბრა. გივი თარგამაძის განმარტებით, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი დახურული დოკუმენტია, რომელიც ყოველწლიურად ახლდება.

— პრაქტიკულად, ამ დოკუმენტის ძირითადი ნაწილი უკვე დამტკიცებულია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ კონცეფცია ხელახლა შეიქმნა, მთელი რიგი შესწორებები ამ დოკუმენტშიც შევა. 2006 წლიდან, ყოველწლიურად განახლებული სახით ვდებდით საფრთხეების შეფასების დოკუმენტს, — აღნიშნა გივი თარგამაძემ.

ვიდრე ნდობის ჯგუფი შეიკრიბება, პარლამენტში უკვე დაიწყეს მსჯელობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე. ეს კონცეფცია განახლებადი დოკუმენტია და მისი გაცნობა ყველა მსურველს შეუძლია.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი 40 გვერდიანია. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებებისა და წინადადებების მიწოდება უშიშროების საბჭოსთვის ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას შეუძლია.

მართალია ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ამ დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობას არ გეგმავს, თუმცა, ბევრი ოპოზიციური პარტია კონცეფციასთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას წერილობით აცნობებს უშიშროების საბჭოს.

როგორც გივი თარგამაძე განმარტავს, ბევრ განვითარებულ ქვეყანას ასეთი დოკუმენტი არა აქვს. კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით, დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რაც პირველ რიგში იმას ადასტურებს, რომ ქვეყანა შედგა.

— ქვეყანას აქვს იმის შესაძლებლობა შეაფასოს ის გარემო, რომელშიც არსებობს, განსაზღვროს პრიორიტეტები და საფრთხეები. ეს დოკუმენტი ხელს უწყობს ხელისუფლების მუშაობის ჰარმონიზაციას, ერთობლივ მუშაობას. ეს დამატებითი დასტურია ჩვენი უცხოელი პარტნიორებისთვის საიმისოდ, რომ მათ მეტი სტიმული ჰქონდეთ ჩვენთან ურთიერთობის, — აღნიშნა გივი თარგამაძემ.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციასა და აგრესიაზე.

კონცეფციაში ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სუვერენიტეტის მოშლის და მისი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შეზღუდვის მიზნით რუსეთმა მორიგი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც ეთნიკური წმენდის ახალი ტალღა მოჰყვა.

დოკუმენტში ასევე საუბარია იმაზე, რომ რუსეთმა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა და იქ განალაგა ახალი სამხედრო ნაწილები და ინფრასტრუქტურა.

**ამ კვირას პარლამენტში ნდობის ჯგუფი შეიკრიბება. ნდობის ჯგუფის სხდომა დახურული იქნება და მას მხოლოდ 5 პარლამენტის წევრი დაესწრება. პარლამენტის ნდობის ჯგუფი საიდუმლო დოკუმენტზე იმსჯელებს. ეს დოკუმენტი საფრთხეების შეფასების დოკუმენტია.**



— რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის სამხედრო ოკუპაცია საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია და იქ რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილების, ასევე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების განლაგება წარმოადგენს პირდაპირ და აშკარა საფრთხეს საქართველოს სუვერენიტეტისთვის და ემუქრება მთლიანად რეგიონის უსაფრთხებას, — აღნიშნულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განმარტებით, რუსეთი არის ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი მთავარი საფრთხე და ეს სამწუხარო ფაქტი ბოლოდროინდელმა ისტორიამ ყველაზე ნათლად დაადასტურა.

— ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა არის ქვეყნის წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი, — ასეთია გივი თარგამაძის პოზიცია.

კონცეფციაში ასევე აღნიშნულია, რომ 2008 წლის აგვისტოში წარმოებული სამხედრო აგრესიის საბოლოო მიზანი იყო არა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ან მარიონეტული რეჟიმების აღიარება, არამედ, საქართველოს პროდასავლური მთავრობის შეცვლა. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს.

დეპუტატ ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, რუსეთის რეალური მიზანი იყო არა საქართველოს ხელისუფლების შეცვლა, არამედ, ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ორბიტიდან ჩამოშორება და რუსეთის ორბიტაში დაბრუნება. ლალიაშვილს მიაჩნია, რომ კარგი იქნება თუ დოკუმენტში ეს ჩანაწერი ჩასწორდება.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობას, კონცეფციაში ამაზეც არის საუბარი. კერძოდ, ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის დასახელებული.

კონფეციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია გადადგას დროული და ეფექტური ნაბიჯები, რომელიც მიმართული იქნება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის მიღწევისკენ მშვიდობიანი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული მეთოდებით და მზადაა უზრუნველყოს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული უფლებების დაცვა.

— საქართველოს სურვილია რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის გარეშე, — ნათქვამია კონცეფციის პროექტში.

რისკებთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა სამხედრო ბაზების მშენებლობა, პროვოკაციებისა და მორიგი სამხედრო ინტერვენციისთვის პლაცდარმს წარმოადგენს.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბათუ ქუთელიას შეფასებით, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი მოხდა, საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, ამდენად, ბუნებრივია, რომ კონცეფცია ამ საკითხებსაც ასახავს და მასზე პოლიტიკურ პრიორიტეტებს თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საფრთხეების ნეიტრალიზება.

ბათუ ქუთელია განმარტავს, რომ 2005 წლის შემდეგ, საქართველოს უსაფრთხოების გარემო რადიკალურად შეიცვალა, ბევრი ისეთი საფრთხე, რომელიც მანამდე არ იყო კონცეფციაში გათვალისწინებული დღეს ქვეყნის წინაშე დგას.

— დღევანდელი საქართველოს უსაფრთხოების გარემო არის საკმაოდ კომპლექსური. აქედან გამომდინარე, კომპლექსური საფრთხეების გასანეიტრალებლად და მათზე ადეკვატური რეაგირების მექანიზმის შესამუშავებლად აუცილებელია კონცეპტუალური საფუძვლების დამუშავება, ანუ უსაფრთხოების ახალი კონცეფციის დამუშავება, — ასეთია ბათუ ქუთელიას პოზიცია კონცეფციის ახალ პროექტთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი თემა კონცეფციაში შეეხება ჩრდილო კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს. დოკუმენტის თანახმად, მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი სერიოზული საფრთხეა.

დოკუმენტში ასევე საუბარია იმაზე, რომ საქართველო მხარს უჭერს კავკასიაში არსებული ყველა კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე.

კონცეფციის მიხედვით, საქართველო ესწრაფვის აზერბაიჯანთან და სომხეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავებას. ასევე საუბარია აზერბაიჯანთან ერთობლივ ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტების მნიშვნელობაზე.

ქრისტიან-დემოკრატებს საკუთარი მოსაზრება აქვთ ტერმინთან — მრავალეთნიკური ქართველი ერი, რომელიც დოკუმენტშია ნახსენები. ნიკა ლალიაშვილს და გიორგი თარგამაძეს მიაჩნია, რომ უნდა იყოს „საქართველოს ხალხი“ ან „მრავალეროვნული ქართველი ხალხი“.

კიდევ რის დაზუსტებას ან დამატებას ითხოვენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები?

უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ კონცეფციაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარსუნებასა და განვითარებაში.

— ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას ტრადიციული რელიგიებისა და კონფესიების წვლილს მრავალეთნიკური ქართული კულტურის განვითარების საქმეში, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერის განცხადებით, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების და პოლიტიკური პროცესებისადმი, მათ შორის საარჩევნო პროცესისადმი ნდობის საკითხი უნდა განიხილებოდეს როგორც ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის და ეროვნული უსაფრთოებისათვის რისკის მატარებელი ელემენტების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებს“ მედიასთან დაკავშირებითაც აქვთ საკუთარი მოსაზრება.

— აუცილებელია, რომ წინა კონცეფციაში არსებული ცალკე მუხლი, რომელიც უკავშირდებოდა მედიის თავისუფლების ხარისხის გარანტიების შექმნას, ეს მუხლი ახალ კონცეფციაში არ ამოვარდეს. სამწუხაროდ, 2005 წლის შემდეგ, მედიის თავისუფლების ხარისხის თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანაში ვითარება გაუარესდა და არ გაუმჯობესებულა, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი თარგამაძემ.

ახალ დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები აქვთ ეროვნულ-დემოკრატებს. ამ პარტიის წევრი გურამ ჩახვაძე კონცეფციაში რუსეთის მხრიდან ეკონომიკური და დემოგრაფიული აგრესიის ასახვას მოითხოვს.

გურამ ჩახვაძის აზრით, ეკონომიკურ აგრესიად უნდა აღიქმებოდეს ბუნებრივი რესურსების გადინება ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

გურამ ჩახვაძის განცხადებით, დემოგრაფიული აგრესიაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ბალანსის შეცვლა, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს სხვა ეთნოსის ჩასახლების პროცესი.

რაც შეეხება ექსპერტებს, თითქმის ყველა ექსპერტი დადებითად აფასებს კონცეფციის ახალ პროექტს. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, კონცეფციაში საგარეო კავშირების გაღრმავების კუთხით დასავლეთ ევროპის ქვეყნებია გამორჩენილი.

— კონცეფციაში საგარეო კავშირების განმტკიცებასთან დაკავშირებით მკვეთრად არ არის ნახსენები ჩვენი ურთიერთობების შესახებ დასავლეთ ევროპის ისეთ სახელმწიფოებთან როგორიც არის: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. მნიშვნელოვანია აისახოს თუ რა ურთიერთობები არის ჩვენს ქვეყნებს შორის და რა პერსპექტივებია შემდგომი განვითარების კუთხით, — ასეთია გოგოლაშვილის პოზიცია.

დეპუტატების, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპიზიციის წარმომადგენლების მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები უშიშროების საბჭოს გადაეგზავნება, რის შემდეგაც მათი განხილვა მოხდება.

უშიშროების საბჭოდან გადამუშავებული დოკუმენტი კვლავ პარლამენტში შევა განსახილველად. ქვეყანას, ეროვნული უსაფრთხოების განახლებული კონცეფცია გაზაფხულის ბოლოსთვის ექნება.

# ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გახსნილია

ეკა ირემაშვილი

21 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მწერალი ნოდარ გრიგალაშვილი თავისი ახალი წიგნის „თანამდევი სული (ილია და მისი ეპოქა)“ წარდგინებას მოაწყობს. ნოდარ გრიგალაშვილის მიერ შედგენილი ორტომეული საინტერესოა როგორც სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის, ასევე ილიასა და მისი ეპოქის მკვლევრებისთვის.

„104 წლის შემდეგ გახსნილი ილიას მკვლელობის საიდუმლო“ — შეხვედრა ნოდარ გრიგალაშვილთან — ასე ეწოდება დაგეგმილ ღონისძიებას, რომელზეც მწერალი ნოდარ გრიგალაშვილი საჯარო ლექციას წაიკითხავს. იგი ისაუბრებს თავის ახალ წიგნზე „თანამდევი სული (ილია და მისი ეპოქა)“. ორტომეულში ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დეტალურად აღწერს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას, მოღვაწეობასა და, ზოგადად, ილიას ეპოქას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის ის ნაწილი, სადაც ილიას მკვლელობის დეტალებია აღწერილი. დღემდე უცნობი საარქივო მასალების კვლევის საფუძველზე ავტორი მკვლელობის მოტივის, მისი დამკვეთებისა და ორგანიზატორების შესახებ სრულიად ახალ ვერსიას გვთავაზობს. ილია ჭავჭავაძემ რუსეთის პირველ დუმაში სამსახურის შემდეგ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. 1907 წლის 28 აგვისტოს თბილისიდან საგურამოსკენ მიმავალ ილიასა და ოლღას წიწამურთან ექვსკაციანი ჯგუფი დაესხა თავს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# „ოქროს დათვი“ ირანელ რეჟისორს გადასცეს

ბერლინის კინოფესტივალის, ბერლინალეს მთავარი პრიზი „ოქროს დათვი“ ირანელ რეჟისორს ასგარ ფარჰადის გადაეცა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მისი ფილმი „ნადერი და სიმინი იყრებიან“. გარდა ამისა, ფილმის მსახიობთა ჯგუფმა ორი „ვერცხლის დათვი“ მოიპოვა.

ფარჰადის ფილმი თანამედროვე ირანული ოჯახის ისტორიას წარმოგვიდგენს. სიმინი, ვის როლსაც მსახიობი ლეილა ხატამი ასრულებს საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადასვლას აპირებს, რადგან შვილისათვის უკეთესი განათლების მიცემა სურს. ნადერი წინააღმდეგია და სიმინი განქორწინებას გადაწყვეტს. მწოლიარე ავადმყოფი მამის მოსავლელად ნადერი ძიძას დაიქირავებს, რომელიც თავის საქმეებზე სახლიდან ცოტა ხნით გასვლას გადაწყვეტს და ავადმყოფს საწოლზე მიაბამს. გაბრაზებულმა ნადერმა ძიძა კინწისკვრით გააგდო სახლიდან, მაგრამ მეორე დღეს ძიძას მუცელი მოეშალა და შარიათის კანონების თანახმად, ნადირს არშობილი ბავშვის მკვლელობის ბრალდებები წაუყენეს, რის გამოც სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

ასგარ ფარჰადის კარიერა 2003 წელს დაიწყო ფილმით „მტვერში მოცეკვავე“. ამ ფილმმა მოსკოვის კინოფესტივალზე მამაკაცის საუკეთესო როლის პრიზი დაიმსახურა. ამჟამად იგი ხუთი სრულმეტრაჟიანი ფილმის ავტორია. ფილმში „ყველაფერი ელის შესახებ“ (2009) ფარჰადი ირანელი ქალების პრობლემებზე საუბრობს და ამ მიზნით ევროპული ეგზისტენციური დრამის ენას იყენებს. კინოკრიტიკოსების აზრით, მის ფილმში მიქელანჯელო ანტონიონის ძლიერი ზეგავლენა შეიმჩნევა.

„ოქროს დათვის“ მიღების შემდეგ სიტყვით გამოსულმა ირანელმა რეჟისორმა თავისი თანამემამულე, ბერლინალეს პრიზიორისა და ვენეციის კინოფესტივალის გამარჯვებული, ჯაფარ პანაჰი მოიხსენია. ირანის ხელისუფლებმა პანაჰი ციხეში მოათავსეს და ოცი წლით ფილმების გადაღების უფლება მხოლოდ იმიტომ ჩამოართვეს, რომ მისი შეხედულებები

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ვახტანგ მაჭავარიანი იუბილარია

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი იუბილარია. 60 წლის იუბილეს ხელოვანი 22 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე გამართული კლასიკური მუსიკის კონცერტით აღნიშნავს.

დირიჟორი არ მალავს, რომ არ უყვარს იუბილეები, თუმცა, ისე გამოვიდა, რომ საქართველოდან გადახვეწილი მაესტრო 60 წლის იუბილეს სწორედ თავის მშობლიურ ქვეყანაში ხვდება. ხანგრძლივი განშორების შემდეგ კი იმ ორკესტრს უდირიჟორებს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორიც წლების განმავლობაში თავად იყო.

როგორც ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში განმარტეს, ევგენი მიქელაძის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ახლანდელი ხელმძღვანელი ნიკა მემანიშვილი იწვევს ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს ვახტანგ მაჭავარიანს მის ყოფილ ორკესტრთან სამუშაოდ, რათა სწორედ კლასიკური მუსიკის კონცერტით აღინიშნოს მაესტროს 60 წლის იუბილე.

რუსთაველის აკადემიური თეატრის დიდ სცენაზე მაესტრო ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს. „ამ საღამოსთვის მე ავირჩიე ჩემი ღმერთების მუსიკის სფეროში ბეთჰოვენი და ვაგნერი“ — ასეთი დევიზი შეურჩია საკუთარ საიუბილეო საღამოს ვახტანგ მაჭავარიანმა.

გარდა საკუთარი მუსიკალური ღმერთების ნაწარმოებების შესრულებისა, იუბილარი მაესტრო რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას პირველად წარუდგენს საკუთარ ნაწარმოებს „სიმფონიური სურათი ნაცარქექია“.

ორმოქმედებიანი კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულდება ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმფონია №7 და დირიჟორის „სიმფონიური სურათი ნაცარქექია“. მეორე განყოფილებაში აჟღერდება რიჰარდ ვაგნერი — უვერტიურა ოპერიდან „რიენცი“ და უვერტიურა ოპერიდან „ტანჰოიზერი“. რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე დაგეგმილი კლასიკური მუსიკის საღამოზე დასასწრები ბილეთის ფასი 7-დან 15 ლარამდეა.

საქართველოში ამჟამინდელი ვიზიტი იუბილარი მაესტროსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მას ამისთვის ორი მიზეზი აქვს — თავის ნაწარმოებს პირველად წარუდგენს საზოგადოებას და მისი ვაჟი, 12 წლის ალექსი მაჭავარიანი, კონსერვატორიის სცენაზე პირველად წარდგება ქართველი საზოგადოების წინაშე.



**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

***— ბატონო ვახტანგ, გილოცავთ იუბილეს. როგორია თქვენთვის ეს თარიღი?***

— სამოცი წელი, თქვენ გგონიათ, ბევრია? ბევრი არაფერი — სულ სამჯერ ოცია.

***— და გული არ ბერდება?***

— არა და არა! არც გული ბერდება და არც სხეული.

***— რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოში დირიჟორობა?***

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან წასული ვარ და წარმატებით ვმოღვაწეობ ევროპაში, ჩემი ქვეყანა მიყვარს და ჩემთვის დიდი პატივია მშობლიურ ქვეყანაში ჩამოსვლა, კონცერტის გამართვა და თან მშობლიურ ორკესტრთან მუშაობა. საქართველოში ჩემი სახლია, უცხოეთში კი სტუმარი ვარ, რომელსაც თბილად იღებენ.

***— რამდენწლიანი განშორების შემდეგ შეხვდით ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს?***

— დიდი ხანია, მათ არ შევხვედრივარ. ბოლოს შევხვდი გასული წლის ზაფხულში.

***— როგორ შეგხვდათ ორკესტრი?***

— ძალიან დადებითად. მოგვენატრა ერთმანეთი. პირველ რიგში, მადლობა ორკესტრის ხელმძღვანელობასა და თავად ორკესტრს, რომ მათთან შეხვედრის შანსი ისევ მომეცა. ახლა გამალებული რეპეტიციები გვაქვს, ერთად ვემზადებით მსმენელთან შესახვედრად. საკმაოდ გადატვირთულია ჩვენი დღის რეჟიმი, მით უმეტეს, რომ კონცერტამდე ერთი დღელა დარჩა.

***— გადაიღალეთ?***

— ნამდვილად მძიმე დღეები გვქონდა მეც და ორკესტრსაც. კვირა დღე მქონდა იმისთვის, რომ ცოტა გონზე მოვსულიყავი.

***— კონცერტისთვის რიჰარდ ვაგნერი და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი რატომ აირჩიეთ?***

— მე ეს მიზეზი ავხსენი. ვთქვი, რომ ავირჩიე ჩემი ღმერთები მუსიკალურ სამყაროში — ბეთჰოვენი და ვაგნერი. ისინი ჩემი საყვარელი ავტორები არიან. ის ნაწარმოებები, რომლებიც ავარჩიე, განსაკუთრებულად მიყვარს.

***— როგორია თქვენი მოლოდინი?***

— მოლოდინი ნამდვილად დიდია. მომენატრა ქართველი მსმენელი, საზოგადოება, თან განსაკუთრებულად ვღელავ, იმიტომ რომ ჩემი ნაწარმოები, „სიმფონიური სურათი ნაცარქექია“, პირველად შესრულდება. ამ კონცერტზე მსმენელის წინაშე წარვდგები, არა როგორც დირიჟორი, არამედ, როგორც კომპოზიტორიც.

***— მხოლოდ საქართველოში აღნიშნავთ იუბილეს?***

— არ მიყვარს სიტყვა „იუბილე“.

***— მაშინ მრგვალი თარიღი დავარქვათ.***

— კი, ასე მირჩევნია. ევროპაში მაქვს დაგეგმილი ბევრი კონცერტი, ამიტომ მთელი წელი მრგვალი თარიღისადმი მიძღვნილი გამოდის, თუმცა ამაზე აქცენტის გაკეთება ნამდვილად არ მიყვარს.

***— კონსერვატორიაში როდის ჩაატარებთ კონცერტს?***

— 4 მარტს კონსერვატორიაშიც გვაქვს დაგეგმილი კონცერტი, სადაც ჩემი ვაჟი, 12 წლის ალექსი მაჭავარიანი დაუკრავს. მასთან ერთად სცენაზე სახელგანთქმული ქართველი პიანისტი თამარ ლიჩელიც იქნება.

# სკანდალი ევროვიზიის ეროვნულ ფინალზე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯგუფი ექვსი წევრისგან შედგება: თამარ ვადაჭკორია (ლიდ ვოკალი), მიხეილ ჭელიძე (გიტარა), ირაკლი ბიბილაშვილი (ბას გიტარა), დავით ჩანგოშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები), თამარ შეყილაძე (კეიბორდი, კლავიში), ბესო ციხელაშვილი (დიჯეი).

ჯგუფმა „ელდრაინმა“ ეროვნულ ფინალში ინგლისურენოვანი სიმღერა „ვან მორ დეი“ შეასრულა და, ჟიურისა და მაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ფინალისტი გახდა. დასკვნით საღამოს გასული წლის საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძეც ესწრებოდა. შარშანდელმა საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს გამარჯვება პირადად მიულოცა. შიდაშესარჩევი კონცერტი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ პავილიონში გაიმართა და მასში 7 კონკურსანტი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ როგორც ვოკალისტები, ასევე მუსიკალური ჯგუფები.

ჯგუფ „ელდრაინის“ გარდა, შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილეობდნენ თემო საჯაია, სალომე კორკოტაშვილი, ჯგუფი „ტკბილი აბები“, ჯგუფი „ნოვემბერ“ და დიტო ლაგვილავა, ნინი შერმადინი და ჯგუფი „ზი ჯორჯიანს“. საზოგადოებრივ მაუწყებელში წლევანდელ ევროვიზიაზე მონაწილეობის მსურველთა 50 განაცხადი შევიდა, თუმცა საპროდიუსერო ჯგუფმა მათგან 10 კონკურსანტი შეარჩია, ფინალში კი მაყურებელმა შვიდი მათგანი იხილა.

ნაციონალური ფინალისტი მაყურებელმა და ჟიურიმ ერთობლივად გამოავლინეს. ხმის მიცემის პროცედურა ყველა კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ დაიწყო და ბოლო 15 წუთი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში მაყურებელს საშუალება ჰქონდა, თავისი რჩეულისთვის დაერეკა ან დაემესიჯებინა. ზარის ღირებულება 1 ლარი იყო და თითოეული ნომრიდან მხოლოდ 20 ზარისა თუ სმს-ის დაფიქსირება იყო შესაძლებელი.

საქართველომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-12 ადგილი დაიკავა. შემდგომ წელს ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ღურწკაიამ წარადგინა. საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული 2009 წელს ჯგუფი „სტეფანე და 3 გოგო“ გახდა. ჯგუფს საქართველოს სახელით მოსკოვში გამართულ ევროფესტივალზე უნდა შეესრულებინა სიმღერა „პუტ ინ დისკო“. მედიასაშუალებებში გახმოვანდა, რომ სიმღერას ორაზროვანი, პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრის მისამართით ვრცელდებოდა. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ქართულ მხარეს სიმღერის შეცვლა შესთავაზა. მოგვიანებით საქართველომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

გასულ წელს ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა. კონკურსზე, რომელშიც 39 ქვეყანა მონაწილეობდა, მან მეცხრე ადგილი დაიკავა.

წლევანდელ ევროფესტივალს გერმანია მასპინძლობს. 55-ე ევროფესტივალის გამარჯვებული გერმანიის წარმომადგენელი ლენა მაიერ-ლანდრუტი გახდა. სწორედ ამ გამარჯვებით გერმანიამ ევროვიზია 2011-ის მასპინძელი ქვეყნის სტატუსი მოიპოვა.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსების ორგანიზატორი ევროპის მაუწყებელთა კავშირია. 2011 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსში 43 ქვეყანა მონაწილეობს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში ავტომატურად მიიღებენ მონაწილეობას გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის (რომელიც 13-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა კონკურსს) წარმომადგენლები. წლევანდელ ევროფესტივალზე გამარჯვებულს მაყურებელი და ჟიური გამოავლენენ. მათი ხმები პროპორციულად, პრინციპით 50%-50%-ზე გადანაწილდება. 2011 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსისთვის მზადება დაწყებულია. ევროპა გრანდიოზული სანახაობის მოლოდინშია. ევროვიზია 2011-ის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალები — 10 და 12 მაისს, ხოლო ფინალი 14 მაისს ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება.

# ათონელი ბერები ხელნაწერთა ცენტრს ეწვივნენ

ეკა ირემაშვილი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ლაშა პაპაშვილისა და მეუფე გერასიმეს თანხლებით ვატოპედის მონასტრიდან ათონელ ბერთა ჯგუფი ეწვია. ვატოპედის მონასტერი ათონის მთაზე მდებარე იერარქიით მეორე მართლმადიდებლური მამათა მონასტერია, რომელიც გამოირჩევა თავისი სიძველითა და ვრცელი ტერიტორიის ფლობით. მონასტერში დღეისათვის 200-მდე ბერ-მონაზონია, მათ შორის ოთხი ქართველია.

სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეები თამარ გეგია და მიხეილ ბეჟანიშვილი. ათონელმა ბერებმა დაათვალიერეს მუდმივმოქმედ გამოფენაზე წარმოდგენილი ულამაზესი მინიატურებითა და თავსამკაულებით გაფორმებული, დახვეწილი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერები — ჯრუჭის პირველი ოთხთავი და ვანის სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა მნიშვნელოვანი საგანძური.

მუდმივმოქმედ გამოფენასთან ერთად, სტუმრებმა იხილეს სპეციალურად მათთვის ექსპონირებული ათონური წარმოშობის რამდენიმე ქართული ხელნაწერი და ასევე ბერძნული ხელნაწერები. ათონელმა ბერებმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციასთან სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს. სტუმრებმა ცენტრის წარმომადგენლებს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცეს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემოწირული წიგნების პრეზენტაციაც გაიმართა. ხელნაწერთა ცენტრის საბიბლიოთეკო დეპარტამენტმა მოაწყო ახალი წიგნების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც კულტურის სამინისტროს, გამომცემლობა „არტანუჯისა“ და „ინტელექტის“, ასევე ცალკეულ ავტორთა მიერ შემოწირული წიგნები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკა გამდიდრდა ფილოლოგიური, ისტორიული, ხელოვნებათმცოდნეობითი და რელიგიური თემატიკის გამოცემებით. გამოფენილ წიგნებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამების საკათედრო ტაძარში დაცული ხელნაწერი ბიბლიის ასლი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საჩუქრად 13 იანვარს გადაეცა. ბიბლია დაცული იქნება საბიბლიოთეკო დეპარტამენტის რარიტეტულ გამოცემათა კაბინეტში. შემოსულ წიგნებს შორის გამოირჩევა „ქართლის ცხოვრება“, „ოთხთა ეკლესიის ფრესკები“, „ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ“, „განმარტება იოანეს სახარებისა“.

ათონელმა ბერებმა წირვა სიონის ტაძარში აღავლინეს, ხოლო სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ღვთისმსახურებაში საქართველოს პატრიარქთან ერთად მიიღეს მონაწილეობა. ათონელი ბერები საპატრიარქო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიიღო და იქ არსებული სიწმინდეები დაათვალიერებინა. არქიმანდრიტმა ეფრემმა კათოლიკოს-პატრიარქს ვატოპედის მონასტრის ისტორიის ამსახველი ალბომი უსახსოვრა.

23 თებერვალს ათონელი მამები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვევიან, სადაც ჩატარდება საჯარო ლექცია თემაზე „ათონის მთა და ქართველობა“. ათონელ მამათა დელეგაცია საქართველოს 24 თებერვალს დატოვებს.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

**ნათელმხილველი
მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაიაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

## განცხადება

2011 წლის 9 მარტს, 17 საათზე გაიმართება საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. ასოციაციის გამგეობის არჩევა.

მისამართი: ჩიტაიას ქუჩა №9ა.

## სამგლოვიარო განცხადებები



დიდ სამეგობროს, სამეზობლოს და სანათესაოს გამოაკლდა უერთგულესი მეგობარი, მეზობელი და ნათესავი

**ჯაბა ჩოხელი**

ჯაბას მეგობრები ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ ოჯახს და მთელ საახლობლოს.



მეუღლე ეკა ჩოხელი, შვილები ნიკა და მერი ჩოხელები, მშობლები ნიკოლოზ ჩოხელი და სვეტლანა ავსაჯანიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ჯუმბერ (ჯაბა) ჩოხელის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 21, 22, 23 თებერვალს 17.00-სთ დან

მისამართი: თბილისი, სამტრედიის ქ. 4ა მე-8 სართული, ბინა 37

გასვენება: 24 თებერვალს 14-სთ-ზე წმ. გიორგის ეკლესიიდან (სამტრედიის ქ.)

გიორგი და მერაბ უძილაურები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის

**ჯაბა ჩოხელის**

გარდაცვალებას.



**ლაური (ლალა) გუგუტიშვილი-ჩინჩალაძის მონატრება**

2010 წლის 21 თებერვალი, კვირა დღე, დღე, რომელმაც გათენებაც კი არ გაცალა, ისე წაგართვა სიცოცხლე. უშენოდ გავიდა ერთი წელი. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მძიმე გასახსენებელია განვლილი პერიოდი, ყოველი შემდეგი დღეები უფრო და უფრო საშინელებაა უშენოდ, ჩვენო საყვარელო ლაურა (ლალა). ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასე არც ყოფილა და არც იქნება. ყოველდღიურად უფრო და უფრო გვენატრები, ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ შენ ველარ გნახავთ, ველარ მოვისმენთ შენს დარიგებებს; მოგვაკლდა შენი მზრუნველობა, სითბო, სიყვარული, ფუსფუსი, ის, რასაც სახლიდან ყოველი გასვლისას თუ შემოსვლისას, ასევე ტელეფონზე საუბრისას რომ იჩენდი ჩვენ მიმართ. განა ასეთი შვილისთვის, მეუღლისთვის და დედისთვის, ასე ხანმოკლე უნდა ყოფილიყო ეს წუთისოფელი? ჩვენ არაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ ყოველდღიურად რამდენჯერმე ვილოცოთ შენი სულის სადიდებლად და ავანთოთ სანთლები, როგორც შენს საფლავზე, ასევე სახლში, სადაც ყველა კედელზე თუ კუთხეში შენი კუთხეა მოწყობილი და ტაძრებში; არ შევარცხვინოთ შენი სახელი და აუგად არავის ვახსენებინოთ; გავაგრძელოთ უშენოდ ჩვენი ოჯახის ტრადიციები (კეთილი საქმეების თესვა), რაც შენ გვასწავლე; ვიამაყოთ იმ განვლილი, ძალიან ხანმოკლე წლებით, რაც ერთად ჭირსა თუ ლხინში გაგვიტარებია, ჩვენო სიამაყევ, უკვე ერთი წლის მონატრებულო ლაურა (ლალა), დიდება შენს სულს, შენს სახელს. ამინ! ამინ! ამინ!

*შენი — უშენოდ დარჩენილი მეუღლე მერაბი,*
*შვილები მერაბიკო და გივიკო ჩინჩალა ძეები,*
*დედ-მამა — ელიკო და ჟორა გუგუტიშვილები*

მეგობრები უსამძიმრებენ ვიოლა ზვამბაიას ერთგული მეუღლის, დიდი ქართველის

**ამირან ჯიმშელეიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ადრეულ ასაკში ქორწინება განქორწინებისთვის არის განწირული



ადრეულ ქორწინება ძალიან ხშირად მომავალი ხუთი წლის განმავლობაში განქორწინებით მთავრდება. შესაძლოა, ამ დასკვნამდე ზოგიერთი მიმომხილველი პოპ და კინოვარსკვლავებს შორის გავრცელებულმა, ადრეულ ასაკში დაქორწინებისა და რამდენიმე წლის შემდეგ განქორწინების მოდამ მიიყვანა, მაგრამ როგორც ჩანს, სტატისტიკური მონაცემებიც იგივეს ადასტურებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად განქორწინებების რიცხვი ბოლო დროს შემცირების ტენდენციეს ამჟღავნებს, გარკვეულ ასაკობრივ კატეგორიაში განქორწინებულთა რიცხვი მატულობს. ასე მაგალითად, 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით განქორწინებების რიცხვი ორჯერ მეტია. ამასთან, ეს წყვილები ერთმანეთთან შერიგების ნაცვლად სასამართლოში განქორწინების სარჩელის წარდგენას ამჯობინებენ.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, თანამედროვე საზოგადოება ქორწინებაში ხანგრძლივი ურთიერთობების კონცეფციას ადეკვატურად ვერ აღიქვამს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანები, ვინც დაქორწინება გადაწყვიტა, ახალგაზრდები არიან.

გავრცელებული აზრის თანახმად, ამ ასაკში უფრო ძლიერია პირადი ამბიციები.

იმავდროულად იზრდება მათი რიცხვი, ვინც ქორწინებაზე უარს ამბობს და ბავშვებს ქორწინების გარეშე აჩენს. ის ადამიანები, ვინც 30 წლამდე ასაკში ქორწინდებიან, ხშირად ერთმანეთს შორდებიან.

ექსპერტების ვარაუდით, შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება ქორწინებისა და განქორწინების მიმართ. განქორწინება უკვე აღარ არის რაღაც საშინელი მოვლენა, გარდა ამისა, მისაღები ხდება ურთიერთობის გაწყვეტის იდეა პირველი ბავშვის გაჩენამდე.

გამოკვლევების შედეგად დასტურდება, რომ სამიდან ერთი ქორწინება 15 წლამდე განორწინებით მთავრდება. ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ ეს მაჩვენებელი ხუთ ქორწინებაზე ერთს შეადგენდა.

## „ოქროს დათვი" ირანელ რეჟისორს გადასცეს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ირანის ხელისუფლების გაბატონებულ შეხედულებებს არ ემთხვეოდა. მან იმედი გამოთქვა, რომ მისი პრობლემები მალე გადაიჭრება, თუმცა, მიმომხილველების აზრით, პანაჰის მხოლოდ ხსენებაც კი მას კარიერად შეიძლება დაუჯდეს.

ვენეციის კინოფესტივალის მნიშვნელობით მეორე პრიზი „გრან პრი" უნგრელ კლასიკოს ბელა ტარს გადაეცა, ფილმისათვის „ტურინის ცხენი". რეჟისორის თქმით, ეს ფილმი მისი კარიერის ბოლო ნამუშევრად შეიძლება იქცეს.

უნდა ითქვას, რომ უნგრელ რეჟისორს არც კი უცდია დაემალა იმედგაცრუება, რაც მისთვის გრან პრის მინიჭებით იყო გამოწვეული და საპასუხო სიტყვისაგან თავი შეიკავა, ჟიურის წევრს, გაი მედინს, რომელიც მას პრიზს სთავაზობდა, დანანებით ხელიც კი აუქნია.

„ნადერი და სიმინი იყრებიან" და „ტურინული ცხენი" საკონკურსოდ წარმოდგენილ სხვა ფილმებს საგრძნობლად აღემატებოდნენ რეიტინგით და ამის გამო ჟიურის გადაწყვეტილება არავის გაჰკვირვებია.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## 21 - 27 თებერვალი ამინდის პროგნოზი



**სოხუმი**

21.10 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 2-3
22.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
23.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
24.10 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
25.10 ღრუბელი, დღისით — 16-14, ღამით — 9-10
26.10 ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
27.10 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 7-8

**ზუგდიდი**

21.10 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 4-5
22.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
23.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
24.10 წვიმა, დღისით — 16-7, ღამით — 8-9
25.10 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
26.10 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
27.10 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 9-10

**ბათუმი**

21.10 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 4-5
22.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 10-11
23.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 11-12
24.10 წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 10-11
25.10 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
26.10 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
27.10 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 8-9

**ქუთაისი**

21.10 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
22.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
23.10 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
24.10 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
25.10 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
26.10 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
27.10 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 8-9

**გორი**

21.10 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 1-2
22.10 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — -1-0
23.10 ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
24.10 ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
25.10 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
26.10 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
27.10 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 2-3

**თბილისი**

21.10 წვიმა, დღისით — 5-6, ღამით — 0-1
22.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 4-5, ღამით — -2 -1
23.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — -2 -1
24.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — -2 -1
25.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — -3 -2
26.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — 0-1
27.10 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 3-4

**გურჯაანი**

21.10 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
22.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -3 -2
23.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -3 -2
24.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — -4 -3
25.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -2 -1
26.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
27.10 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 3-4

**მანგლისი**

21.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — 0-1
22.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -3 -2
23.10 თოვლი, დღისით — -1-0, ღამით — -4 -3
24.10 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -4 -3
25.10 თოვლი, დღისით — -3 -2, ღამით — -5 -4
26.10 წვიმა, თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — -2 -1
27.10 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2

**დმანისი**

21.10 თოვლი, დღისით — -5 -4, ღამით — -12 -11
22.10 მზე, ღრუბელი, დღისით — -2 -1, ღამით — -13 -12
23.10 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -11 -10
24.10 ღრუბელი, დღისით — -2 -1, ღამით — -12 -11
25.10 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -12 -11
26.10 თოვლი, დღისით — -3 -2, ღამით — -9 -8
27.10 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -8 -7

გ.თ.



1. დუმბაძის რომანის პერსონაჟი; 2. უნარი, მოხერხება; 3. დიდი სახაზავი; 4. იუპიტერის თანამგზავრი; 5. ჭადრაკის ფიგურა; 6. დამხმარე თეორემა; 7. დავიდარაბა; 8. ბერძნული ანბანის ასო; 9. „ტანო, ..."; 10. კოლხი მედეას დედა; 11. ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 12. ძიუდოს დროს ხმარებული ჭილოფი; 13. ... ტაილერი; 14. მხედველობის ორგანო; 15. ნიავი; 16. ყირგიზეთის დედაქალაქი; 17. ბატონო (ინგლისურად); 18. ტროა; 19. რკინიგზის ხაზი; 20. მხარე, მიდამო; 21. ... აპოლინერი; 22. ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 23. წვრილი რკალისებური ძვალი; 24. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 25. ათასწლეული; 26. შვლის ნაშიერი; 27. შ.პეროს ზღაპარი; 28. სიმებიანი საკრავი; 29. ახალი წელი გურიაში; 30. ფარული დაცინვა; 31. შტატი (აშშ); 32. მაწვნის მსგავსი პროდუქტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ატლანტა; 2. ოპიზა; 3. გროტესკი; 4. ეფემერა; 5. ვირსალაძე; 9. მანილა; 12. პაროდია; 14. ვარძია; 15. ეტნა; 17. „ვალიო"; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. „სტამპა"; 7. „გრინფისი"; 8. ბაზაზი; 10. ბედია; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 15. მართვე; 19. ჟორდანია; 20. „კიმიგაიო".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ბაგიათი"; 2. აფხაზეთი; 3. „ლიპტონი"; 5. ლიმონათი; 7. ბულბული; 9. ჩიხთიკოპი; 13. ხორშაკი; 15. დავოსი; 16. უჯარმა; 18. „სეიკო".

**თარაზულად:** 4. ყაბალახი; 6. „საფიჩხია"? 8. „ქინძმარაული"; 10. კაბალიე; 11. ხონი; 12. ფლირტი; 14. ოდინი; 17. აკიდო; 19. ცვილი; 20. კრეისერი; 21. იენა; 22. ციხისძირი; 23. კოპტები.

# ფავორიტთა უღიმღამო ფრე



## დინამო — ზესტაფონი 0:0

**თბილისი. ეროვნული სტადიონი**

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, კაკუბავა, გ.კვარაცხელია, მაროვიჩი, რობერტინიო (კახელიშვილი 74), ჰაჯიბულიჩი (ედნილსონი 43), კოშკაძე, არზიანი (კვეკვესკირი., 52), ჯიუსი, იელიჩი.

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, კობახიძე, გ.ონიანი, ალადაშვილი, ელიავა, დაუშვილი, გრიგალაშვილი, გორგიაშვილი (ბენაშვილი 58), აფციაური (დვალი 83), ბაბუნაშვილი, წინამძღვარიშვილი (გელაშვილი 77)

ცენტრალური შეხვედრის პირობაზე, მატჩი თვალსასეირო ვერ გამოდგა. დაძაბულობა კი იგრძნობოდა, მაგრამ ტემპი დაბალი იყო, ხოლო ტექნიკური წუნი უფრო მეტი.

სახიფათო მომენტებიც იშვიათობა იყო. პირველად დინამოელებმა გაამწვავეს — მე-18 წუთზე, ბრაზილიელმა რობერტინიომ მეტოქეს მოედნის ცენტრში ბურთი მოიგდო, ხელსაყრელ პოზიციაზეც გავიდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. ერთ წუთში, იმავე რობერტინიოს პასის შედეგად, დონალდ ჯიუსი დარჩა როინ კვასხვაძესთან პირისპირ, თუმცა, კამერუნელის დარტყმული ბურთი „ზესტაფონის" მეკარემ დააფიქსირა ხელებში. 22-ე წუთზე, შოთა გრიგალაშვილმა მასპინძელთა საჯარიმოში ერთი მეტოქე ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და ცაციათი გიორგი ლორიას ბურთს თავზე უგდებდა, მაგრამ „დინამოს" მეკარემ თანაგუნდელები გაშვებული გოლისგან იხსნა.

67-ე წუთზე, რობერტინიო სამ მეტოქეს გასცდა, მაგრამ შორი მანძილიდან ძალიან უხეიროდ დაარტყა. ცოტა ხანში, მარჯვენა ფლანგიდან კახა ალადაშვილმა ჩაკიდა ბურთი „დინამოს" საჯარიმოში, სადაც მას რატი წინამძღვრიშვილი რომ მიწვდომოდა, ალბათ, სახიფათო მომენტი შეიქმნებოდა. 72-ე წუთზე, მარცხენა მცველმა მარკო მაროვიჩმა მარცხენა ფლანგზე რეიდი განახორციელა და ბურთი სტუმართა საჯარიმოში მყოფ ალექსანდრე კოშკაძეს გადააწოდა, რომელმაც მიზანს მცირე მანძილით ააცილა. 75-ე წუთზე, გრიგალაშვილის შორეული დარტყმა აღმოჩნდა უზუსტო. 84-ე წუთზე, გიორგი კახელიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ბურთიანად ცენტრისკენ შეიწია, გზად ერთ მოწინააღმდეგეს გაცდა, თუმცა, არაზუსტად დაარტყა. ძირითადი დროსთვის მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ზესტაფონელებს სამი ქულის აღება შეეძლოთ, მაგრამ მათ მიერ განხორციელებული კონტრშეტევის შემდეგ, ნიკოლოზ გელაშვილის დარტყმული ბურთი ლორიას ხელიდან გვერდით ძელს მოხვდა.

**კახა კაჭარავა, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:**

— „დინამოსა" და „ზესტაფონის" დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა, მინდორმა რისი საშუალებაც მოგვცა, პირველ ტაიმში ის თამაში ვაჩვენეთ და მომენტებიც გვქონდა. მეორე ტაიმზე იგივეს ვერ ვიტყვი. ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს და გუნდს შეთამაშება სჭირდება. ორი ტურში ორი ქულით კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო?!

**გიორგი ჭიაბრიშვილი, „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:**

— ძალიან რთული თამაში იყო. ჩვენ საკუთარი მიზანი გვქონდა დასახული. საბოლოო ჯამში, სხვა შედეგს ველოდით. თანაბარი თამაში იყო. ქულით კმაყოფილი არასოდეს ვიქნებით, მაგრამ „დინამო" „დინამოა". ცოტა შეცვლები დავაგვიანეთ, მაგრამ მოხდა ისე როგორც მოხდა. ჩემპიონატში ერთი მიზანი გვაქვს — ჩემპიონობა, რომლის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ.

## ოლიმპი — ტორპედო 1:1

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი.**

***0:1 ქებაძე (61), 1:1 ტყემალაძე (90).***

**ოლიმპი:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ქემოკლიძე, ა. კვახაძე, დობროვოლსკი, რაზმაძე, ი.მაისურაძე (უგულავა 89), გეწაძე (ტყემალაძე 64), ქავთარაძე, დ.ბოლქვაძე (გ.ჭელიძე 71), მოდებაძე.

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, მაჭავარიანი, ს.თოდუა, ჩიკვილაძე, დათუნაიშვილი (თარხნიშვილი 88), დილმელაშვილი, ქებაძე, სეთურიძე (დოლიძე 78), მეგრელაძე, ვ.კვარაცხელია (ბაკურაძე 66)

მიმდინარეობდა მსაჯის მიერ კონპენსირებული დრო, როდესაც რუსთაველთა ფორვარდმა ირაკლი მოდებაძემ „ტორპედოს" საჯარიმოსთან მიიღო ბურთი და არბიტრმა ლაშა სილაგავამ, ძალიან საეჭვო ჯარიმა დანიშნა, რომელიც ვაკო ტყემალაძემ დაარტყა და ბურთი დიდი მანძილით სცდებოდა კარს, მაგრამ გზად ჯაბა უგულავას მოხვდა და ბურთი მისგან ასხლეტით კარში შევარდა.

„ტორპედოს" ფეხბურთელები გამწარებულები იყვნენ, მათი ფანები კი სილაგავას ლანძღვავდნენ. სხვათა შორის, უგულავას გოლის ეპიზოდში, ქუთათურები თამაშგარის დაფიქსირებასაც მოითხოვდნენ. სილაგავას მსაჯობა დავის საგანი გახდა...

მანამდე თამაში თანაბარი იყო და თუ ვინმე იმსახურებდა მოგებას, „ტორპედო" იყო. „ოლიმპი" მხოლოდ ბოლო 5-10 წუთი ფლობდა შესამჩნევ უპირატესობას — იმ დროს, როცა სხვა არაფერი დარჩენოდა და ვა-ბანკზე უნდა წასულიყო. თუმცა, მათ შეტევებს შტურმს ვერ დავარქმევთ, „ტორპედო" 11 კაცით არ ჩაკეტილა საჯარიმოში.

პირველ ტაიმში სტუმრებმა ორჯერ „უჩხვლიტეს" „ოლიმპის" კარს და ორივეჯერ გიორგი სეთურიძის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს მოჰყვა ხიფათი. რუსთაველები ცენტრში მცირე უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ცენტრში — ქუთათურებს იცავდნენ თავს და მხოლოდ მოდებაძესა და გეწაძეს მიეცათ ახლოდან დარტყმის შანსი, თუმცა, ორივეჯერ სუსტად გამოუვიდათ და ომარ მიგინეიშვილს ბურთზე რეაგირება არ გასჭირვებია. მიგინეიშვილისთვის ყველაზე რთული, ირაკლი მაისურაძის შორიდან გასროლილი იყო, თუმცა, მეკარემ ბურთი ხელებში შეიმაგრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ტორპედოს" იდეალური მომენტი შეექმნა — გია მეგრელაძემ ვახტანგ კვარაცხელია გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მანაც კარგად ირბინა და ის იყო კარში უნდა დაერტყა, რომ ბურთს ფეხი დააბიჯა. შემდეგში გუნდებმა კიდევ თითო ხიფათი გაცვალეს — ქავთარაძის დარტმას მცველები ჩაუწვნენ, ხოლო მეგრელაძემ დაჩი ფოფხაძის ჩაწოდებულზე ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

„ტორპედოს" გატანილი კი არც სადავო ყოფილა და არც სილამაზე დაეწუნებოდა: 61-ე წუთი იყო, ლაშა ქებაძემ საჯარიმოდან გადმოგდებულ ბურთზე 15-16 მეტრიდან ცაციათი ერთი შეხებით დაჰკრა და მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

გოლის შემდეგ „ტორპედოსთვის" თითქოს ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, მასპინძლებს არაფერი გამოსდიოდათ. მათი შეტევები ვერც შეცვლაზე შესულმა ტყემალაძემ და გიორგი ჭელიძემ გააძლიერეს.

რაც დრო გადიოდა, „ტორპედო" სულ უფრო ფრთხილად თამაშობდა და მეტოქეს ზღუდავდა, რუსთაველებს ერთი ასპროცენტიანი შანსიც კი არ ჰქონიათ. სწორედ ამ დროს გავიდა დასაწყისში ნახსენები გოლი და მეტოქეები ერთმანეთს თითო ქულით დაშორდნენ.

### მატჩის შემდეგ:

**გია გიგატაძე, „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი:**

— კარგი თამაში გამოვიდა. ფაქტობრივად, მოგებული გვქონდა, მაგრამ კურიოზული გოლი გავუშვით. ისე, ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ გუნდს ვეთამაშეთ. რაც შეეხება მოდებაძეზე ჯარიმის მომენტს, შორიდან როგორც დავინახეთ, წესების დარღვევა არ ყოფილა. ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას აინტერესებს ეს მომენტი და ვიდეოფირზე ვნახავთ.

**თორნიკე მაისურაძე, „ოლიმპის" მწვრთნელ-სელექციონერი:**

— პირველ რიგში, კმაყოფილი ვარ, რომ საქართველოში გუნდები ძლიერდებიან და ერთ-ერთი ასეთი „ტორპედოა". ვფიქრობ, ქუთაისელები სხვა ძლიერ გუნდებსაც დააკარგვინებენ

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

## შედეგები

### ფეხბურთი

**აზიის ჩემპიონთა ლიგა**

სრივიჯაია-ალ აინი ... 0:4
ალ სადი-დემპო ... 2:0

**ინგლისი. თასი**

ჩელსი-ევერტონი ... 0:0(3:4პ)
ბირმინგემი-უენსდი ... 3:0
სტოკი-ბრაიტონი ... 3:0
მარჩესტერი-ქროული ... 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

იფსვიჩი-ჰალი ... 1:1
კრ.პალასი-შეფილდი ... 1:0
ლიდსი-ნორვიჩი ... 2:2
ნოტინგემი-კარდიფი ... 2;1
პორთსმუთი-ბარნსლი ... 1:0
პრესტონი-ქპრ ... 1:1
რედინგი-უოტფორდი ... 1:1
სკანთორპი-დერბი ... 0:0
სუონსი-დონკასტერი ... 3:0

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-პალერმო ... 1:0
ინტერი-კალიარი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 25 | 15 | 7 | 3 | 44:19 | 52 |
| 2.ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47:29 | 50 |
| 3.ნაპოლი | 25 | 14 | 4 | 6 | 40:22 | 49 |
| 4.ლაციო | 25 | 13 | 6 | 6 | 32:22 | 45 |
| 5.უდინეზე | 25 | 13 | 4 | 8 | 42:30 | 43 |
| 6.იუვენტუსი | 25 | 11 | 8 | 6 | 41:30 | 41 |
| 7.პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44:36 | 40 |
| 8.რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 35:32 | 39 |
| 9.კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32:28 | 35 |
| 10.ფიორენტ. | 25 | 8 | 8 | 9 | 28:28 | 32 |
| 11.ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 20:22 | 32 |
| 12.ბოლონია | 25 | 9 | 8 | 8 | 27:33 | 32 |
| 13.კიევო | 25 | 7 | 10 | 8 | 27:27 | 31 |
| 14.სამპდორია | 25 | 7 | 9 | 9 | 23:27 | 30 |
| 15.კატანია | 25 | 6 | 8 | 11 | 23:33 | 26 |
| 16.პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 23:34 | 26 |
| 17.ლეჩე | 25 | 6 | 6 | 13 | 26:46 | 24 |
| 18.ბრეშა | 25 | 6 | 4 | 15 | 20:33 | 22 |
| 19.ჩეზენა | 25 | 5 | 6 | 14 | 17:34 | 21 |
| 20.ბარი | 25 | 3 | 6 | 16 | 14:39 | 15 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-პადოვა ... 2:1
ასკოლი-პორტუგრუარო ... 1:0
ლივორნო-ნოვარა ... 1:0
რეჯინა-ატალანტა ... 0:0
სასუოლო-კროტონე ... 2:0
სიენა-პიაჩენცა ... 2:3
ტორინო-პესკატა ... 3:1
ტრიესტინა-მოდენა ... 2:2
ჩიტადელა-ვიჩენცა ... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ხიხონი ... 0:0
რეალი-ლევანტე ... 2:0
სარაგოსა-ატლეტიკო ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 71-12 | 62 |
| 2.რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-19 | 60 |
| 3.ვალენსია | 24 | 14 | 6 | 4 | 38-25 | 48 |
| 4.ვილიარ. | 23 | 14 | 3 | 6 | 41-23 | 45 |
| 5.ბილბაო | 23 | 12 | 2 | 9 | 37-32 | 38 |
| 6.ესპანიოლი | 23 | 12 | 1 | 10 | 30-31 | 37 |
| 7.ატლეტიკო | 24 | 10 | 3 | 11 | 33-31 | 33 |
| 8.ხეტაფე | 23 | 9 | 4 | 10 | 35-37 | 31 |
| 9.სოსიედ. | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 10.სევილია | 23 | 9 | 4 | 10 | 35-38 | 31 |
| 11.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 12.ერკულესი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 13.რასინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 20-33 | 25 |
| 14.დეპორტ. | 23 | 6 | 7 | 10 | 20-34 | 25 |
| 15.ხიხონი | 24 | 5 | 9 | 10 | 23-31 | 24 |
| 16.ლევანტე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-36 | 24 |
| 17.სარაგოსა | 24 | 5 | 8 | 11 | 22-37 | 23 |
| 18.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 21-30 | 22 |
| 19.ალმერია | 23 | 4 | 8 | 11 | 23-39 | 20 |
| 20.მალაგა | 23 | 5 | 4 | 14 | 30-49 | 19 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რაიო-ტარაგონა ... 1:1
ალბასეტე-უელვა ... 1:1
კარტახენა-ნუმანსია ... 1:0
ლას პალმასი-ვილიარეალი ბ ... 2:2
სალამანკა-უესკა ... 1:1
სელტა-ტენერიფე ... 1:0
ხერესი-კორდობა ... 1:3
ელჩე-ბარსელონა ბ ... 2:1

**გერმანია. 1 ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ზ.პაული ... 2:0
ჰამბურგი-ვერდერი ... 4:0
ჰანოვერი-კაიზერი ... 3:0
ფრაიბურგი-ვოლფსბურგი ... 2:1
ჰოფენჰაიმი-კიოლნი ... 1:1
მაინცი-ბაიერნი ... 1:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-უნიონი ... 0:1
პადერბორნი-ალემანია ... 1:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-მონაკო ... 2:0
კაენი-ვალანსიენი ... 2:2
ლანსი-სოშო ... 2:3
მარსელი-სენტ ეტიენი ... 2:1
ოსერი-არლე ... 1:1
ლორიანი-ბორდო ... 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 23 | 12 | 9 | 2 | 42-22 | 45 |
| 2.მარსელი | 24 | 11 | 9 | 4 | 34-20 | 42 |
| 3.ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 41 |
| 4.რენი | 23 | 11 | 7 | 5 | 26-17 | 40 |
| 5.პსჟ | 23 | 10 | 8 | 5 | 34-24 | 38 |
| 6.სტ.ეტიენი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-30 | 35 |
| 7.ლორიენი | 24 | 10 | 4 | 10 | 32-31 | 34 |
| 8.ბრესტი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-24 | 34 |
| 9.მონპელიე | 23 | 9 | 7 | 7 | 20-23 | 34 |
| 10.ტულუზა | 23 | 10 | 3 | 10 | 25-24 | 33 |
| 11.ბორდო | 24 | 7 | 10 | 7 | 29-30 | 31 |
| 12.ვალანს. | 24 | 7 | 9 | 8 | 30-27 | 30 |
| 13.სოშო | 24 | 9 | 4 | 11 | 39-31 | 31 |
| 14.კაენი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-34 | 28 |
| 15.ნანსი | 24 | 8 | 4 | 11 | 26-39 | 28 |
| 16.ოსერი | 24 | 4 | 14 | 6 | 29-30 | 26 |
| 17.ნიცა | 23 | 6 | 8 | 9 | 15-24 | 26 |
| 18.ლანსი | 24 | 5 | 9 | 10 | 26-42 | 24 |
| 19.მონაკო | 24 | 4 | 12 | 8 | 23-26 | 24 |
| 20.არლე | 24 | 1 | 7 | 16 | 12-44 | 10 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ექსელსიორი-ტილბურგი ... 4:0
ჰერენვენი-ალკმაარი ... 0:2
გრონინგენი-როდა ... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 23 | 15 | 5 | 3 | 62:21 | 50 |
| 2.ტვენტე | 23 | 15 | 5 | 3 | 46:24 | 50 |
| 3.აიაქსი | 23 | 13 | 6 | 4 | 46:22 | 45 |
| 4.გრონინგენი | 24 | 13 | 5 | 6 | 51:33 | 44 |
| 5.დენ ჰააგი | 23 | 12 | 5 | 6 | 43:32 | 41 |
| 6.ალკმაარი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:27 | 40 |
| 7.როდა | 24 | 10 | 9 | 5 | 43:33 | 39 |
| 8.უტრეხტი | 23 | 10 | 5 | 8 | 39:31 | 35 |
| 9.ჰერენვენი | 24 | 9 | 7 | 8 | 44:35 | 34 |
| 10.ნაიმეგენი | 23 | 7 | 9 | 7 | 38:38 | 30 |
| 11.ბრედა | 23 | 9 | 4 | 10 | 31:38 | 30 |
| 12.გრააფსხაპი | 23 | 6 | 8 | 9 | 23:40 | 26 |
| 13.ერაკლესი | 23 | 6 | 6 | 11 | 33:42 | 24 |
| 14.ფეინოორ. | 23 | 6 | 6 | 11 | 27:40 | 24 |
| 15.ვიტესი | 23 | 5 | 7 | 11 | 27:38 | 22 |
| 16.ექსელსი. | 24 | 6 | 4 | 14 | 29:47 | 22 |
| 17.ვენლო | 23 | 4 | 1 | 18 | 22:54 | 13 |
| 18.ტილბურგი | 24 | 1 | 5 | 18 | 22:67 | 8 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

პორტიმონენსე-ოლჰანენსე ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 20 | 18 | 2 | 0 | 46:7 | 56 |
| 2.ბენფიკა | 19 | 15 | 0 | 4 | 40:16 | 45 |
| 3.სპორტინგი | 19 | 9 | 6 | 4 | 32:22 | 33 |
| 4.გიმარაეში | 20 | 9 | 5 | 6 | 25:24 | 32 |
| 5.ლეირია | 20 | 8 | 4 | 8 | 18:24 | 28 |
| 6.ბრაგა | 19 | 8 | 3 | 8 | 33:26 | 27 |
| 7.ოლჰანენსე | 20 | 6 | 9 | 5 | 19:18 | 27 |
| 8.ფერეირა | 19 | 6 | 8 | 5 | 18:21 | 26 |
| 9.ნაციონალი | 20 | 7 | 5 | 8 | 17:23 | 26 |
| 10.ბეირამარი | 19 | 5 | 10 | 4 | 23:22 | 25 |
| 11.აკადემიკა | 19 | 5 | 5 | 9 | 25:34 | 20 |
| 12.მარიტიმუ | 19 | 4 | 7 | 8 | 19:22 | 19 |
| 13.სეტუბალი | 19 | 4 | 6 | 9 | 15:27 | 18 |
| 14.რიუ ავე | 19 | 4 | 5 | 10 | 19:25 | 17 |
| 15.ნავალი | 19 | 3 | 4 | 12 | 17:36 | 13 |
| 16.პორტიმონ. | 20 | 2 | 5 | 13 | 18:37 | 11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-კილმანროკი ... 5:0
ინვერნესი-სტ.ჯონსონი ... 2:0
მოზერველი-ჰამილტონი ... 1:0
ჰართსი-დანდი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 25 | 19 | 4 | 2 | 56:15 | 61 |
| 2.რეინჯერსი | 23 | 18 | 2 | 3 | 53:20 | 56 |
| 3.ჰართსი | 26 | 17 | 3 | 6 | 41:22 | 54 |
| 4.კილმანროკი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:33 | 36 |
| 5.მოზერველი | 26 | 10 | 4 | 12 | 29:34 | 34 |
| 6.ინვერნესი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:33 | 33 |
| 7.დანდი | 22 | 7 | 8 | 7 | 27:30 | 29 |
| 8.სტ.ჯონსონი | 25 | 8 | 5 | 12 | 17:30 | 29 |
| 9.აბერდინი | 25 | 8 | 2 | 15 | 29:44 | 26 |
| 10.ჰიბერნიანი | 25 | 6 | 4 | 15 | 25:43 | 22 |
| 11.სტ.მირენი | 24 | 4 | 7 | 13 | 21:41 | 19 |
| 12.ჰამილტონი | 24 | 2 | 8 | 14 | 14:42 | 14 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ლინცერი ... 2:0
აუსტრია-ნოიშტადი ... 4:0
კაფენბერგი-ინსბრუკი ... გადაიდო
მატერსბურგი-შტურმი ... 1:1

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-ლოკერენი ... 2:1
გენკი-მეხელენი ... 1:0
ბეერსხოტი-კორტრაიკი ... 3:1
ეუპენი-სერკლი ... 0:0
შარლერუა-სტ.ტრუიდენი ... 1:0
ვარეგემი-ლიერსი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-გრასჰოპერსი ... 0:0
ციურიხი-სტ.გალენი ... 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-კერკირა ... 0:2
კავალა-პანსერაიკოსი ... 0:0
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი ... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ანკარაგიუჯიუ ... 2:1
ბურსა-გაზიანთები ... 1:4
გენჩლერი-ქარაბუქი ... 2:3
გალათასარაი-ბუკა ... 1:0

**ფინეთი. თასი**

ტამპერე-ოულუ ... 2:1

**არგენტინა. აპერტურა**

ხიმნასია(ლ)-ოლიმპო ... 1:3
ბანფილდი-კოლონი ... 1:1
არხენტინოსი-ინდეპენდიენტე ... 0:0
ოლდ ბოიზი-ლანუსი ... 2:1
ველეჟი-ოლ ბოიზი ... 1:2
რასინგი-ბოკა ... 0:1

### ჩოგბურთი

**აშშ. ბუენოს აირესი. თიხა**

ალმაგრო-რობრედო ... 7:5;6:1
ვავრინკა-ჩელა ... 2:6;2:6

**აშშ. მაისელი. ჰარდი**

იუჟნი-ჩილიჩი ... 2:6;6:1;5:7
სოდერლინგი-ტურსუნოვი ... 7:5;6:1

**აშშ. მემფისი. ჰარდი**

ფიში-რაონიჩი ... 4:6;6:4;3:6
როდიკი-დელ პოტრო ... 6:3;6:4

**ვტა. დოჰა. ჰარდი**

მორიტა-ბაჩინსკი ... 3:6;6:4;5:7
კუტუზოვა-ჰენკე ... 6:1;6:1
დოკიჩი-კრემერი ... 6:2;6:4
ვესნინა-შვედოვა ... 7:5;7:5
სპეჰერსი-ფლიპკენსი ... 5:7;6:7
გროტი-სფარი ... 7:6;6:1

**ვტა. დუბაი. ჰარდი**

ვოზნიაცკი-იანკოვიჩი ... 7:5;6:3
კუზნეცოვა-პენეტა ... 6:4;6:4

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ედმონტონი-ატლანტა ... 5:3
აილენდერსი-ლოს ანჯელესი ... 3:0
კაროლინა-ნიუ ჯერსი ... 1:4
ტორონტო-ოტავა ... 0:0(0:1ბ)
ტამპა ბეი-ფლორიდა ... 2:2(0:1ბ)
ნეშვილი-ფინიქსი ... 2:3
სენტ ლუისი-ანაჰაიმი ... 9:3
ვანკუვერი-დალასი ... 5:2
სან ხოსე-კოლორადო ... 4:0

# ფავორიტთა ულიმღამო ფრე

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ქულებს. უნდა ითქვას, რომ ტრავმა-დისკვალიფიკაციების გამო, რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. შედეგი კი ლოგიკურად მიმაჩნია.

### ვიტ ჯორჯია — ბაია 1:1

**თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი“**

***1:0 ონიანი (77, ს.კ), 1:1 ქობალია (88)***

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, ბეჭვაია, ღანიაშვილი, ადამაძე, მაისაშვილი, ჯანელიძე, გ.გურეშიძე, კასრაძე, ვასაძე, კორიფაძე (როსტიაშვილი, 70), ჩიმაკაძე.

**ბაია:** სომხიშვილი, სვირავა, აქუბარდია, გამრეკლიძე, რ.ონიანი, სიხარულია (ეხვაია 72), რიგვავა (გ.ქირია 64), ქობალია, წურწუმია, შ,ლომია (აფაქიძე 89), ვართაგავა

მატჩის დასაწყისი სტუმრებს იყო და უკვე მე-3 წუთზე შეეძლო ანგარიშში დაწინაურება, როდესაც ირაკლი ქობალიამ ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა. მიქაბერიძესთან პირისპირ დარჩენილი 18 წლის ფეხბურთელის დარტყმული, კიპერს მოხვდა. ამის შემდეგ, სათამაშო უპირატესობას „ვეტერინარები“ ფლობდნენ.

მარტო ბესიკ ჩიმაკაძეს 3-ჯერ მართებდა გოლის გატანა. ერთხელ ფორვარდმა სტუმართა კარის ძელს გაარტყა ბურთი, მეორედ ცარიელი კარიდან ონიანმა გამოიტანა მისი დარტყმული, ბოლოს კი ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფს, ბურთი ფეხებში აებლანდა და ზუგდიდელმა შეძლო ხიფათის თავიდან აცილება.

თბილისელთა შეტევებმა შედეგი 77-ე წუთზე გამოიღო, როცა სტანდარტული სიტუაციის გათამაშებისას მეტოქის კაპიტანმა როინ ონიანმა თავით უხეიროდ მოიგერია და ბურთი საკუთარ კიპერს გაუტანა.

ვიტელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და დაისაჯნენ კიდეც. 88-ე წუთზე „ვიტ ჯორჯიას“ კარში გიორგი ქირიამ დაკრა სახიფათოდ და ბურთი კიპერმა მოიგერია, იქვე მყოფმა ქობალიამ კი დაამატა და მის გუნდს საჭირო ქულა მოუტანა.

### სიონი — კოლხეთი 2:0

**ბოლნისი. თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი**

***1:0 ჩირიკაშვილი (55), 2:0 ჯიქია (60)***

**სიონი:** მერლანი, კობაური, ორბელაძე, თარგამაძე, ქორიძე, დიდავა, ნოზაძე, გოგობერიშვილი, ჩირიკაშვილი (ადამაშვილი 85), ისიანი (ნ.კვასხვაძე 89), რ.ჯიქია (მ.ოქროპირიძე 89)

**კოლხეთი:** ლ.ძაგანია, მახვილაძე, ცხვიტარია, ინწკირველი, გელაჭეიშვილი (წიქარიშვილი 66), მეგრელიშვილი, გულუა, გავაშელიშვილი, კვერენჩხილაძე, გოგონაია, მდივნიშვილი

ბოლნისელებმა მეტოქე მხოლოდ მეორე ტაიმში გატეხეს. 55-ე წუთზე ფოთელებმა ბურთის მოიგერიეს, მაგრამ საჯარიმოს კუთხესთან მყოფმა ირაკლი ჩირიკაშვილმა, ძლიერი დარტყმით მეტოქის კარში გაიტანა.

ზუსტად 5 წუთში კი რეზო ჯიქიამ მეტოქის მცველთა დაბნეულობის შედეგად გაიტანა.

### სპარტაკი — სამტრედია გადაიდო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 20 | 12 | 5 | 3 | 32:17 | 41 |
| 2.ზესტაფონი | 19 | 12 | 2 | 5 | 39:12 | 38 |
| 3.დინამო | 20 | 10 | 7 | 3 | 24:10 | 37 |
| 4.ბაია | 20 | 7 | 5 | 8 | 20:23 | 26 |
| 5.სიონი | 20 | 6 | 6 | 8 | 14:23 | 24 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 2 | 11 | 19:27 | 23 |
| 7.ტორპედო | 19 | 5 | 8 | 6 | 10:11 | 23 |
| 8.კოლხეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 16:31 | 22 |
| 9.სამტრედია | 19 | 5 | 4 | 10 | 18:33 | 19 |
| 10.სპარტაკი | 19 | 4 | 5 | 10 | 19:24 | 17 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი (ორივე ზესტაფონი), ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) —10-10, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 7, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 6.

# არმია კვლავ თავშია



### ენერჯი-ინვესტი — სოხუმი 55:73

**(19:21, 2§:16, 11:8, §:2§**

**ენერჯი:** მაჭავარიანი (15), გ. ბერუაშვილი, აბაიშვილი (10) გუგავა (5), ხმელიძე (8), ლამუ (15 ქ, 11 მ), თვარაძე, არაბული (2)

**სოხუმი:** ფარღალავა (19), ჰარისი (20), ჩლაიძე (1), კვეტენაძე (3), შანიძე (7), სორდია (5), კანკია, კ. დამუსი (8 ქ, 9 მ), რ. დამუსი (10 ქ, 15 მ)

რუსთავში „ენერჯი□ინვესტმა“ „სოხუმს“ უმასპინძლა და დიდი წინააღმდეგობაც გაუწია. თუმცა, სოხუმელებმა ბოლო მეოთხედში იძალეს და ლატვიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით პირველად გაიმარჯვეს.

აინარს ბაგაცკისმა „სოხუმი“ ორიოდ კვირაა, რაც ჩაიბარა და პირველი მატჩი თსუ-სთან დათმო.

მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 11 ქულის სხვაობით დათმეს, მაგრამ მეორე ათწუთეულში თამაში გამოასწორედ და ძირითადად სისწრაფისა და დაცვის ხარჯზე ანგარიშიც გაათანაბრეს — 37:37 დიდი შესვენებისთვის.

მესამე მეოთხედში რუსთაველები სოლიდურ სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ, რაც ანგარიშშიც აისახა. მესამე მეოთხედის დასრულებას სამიოდ წუთი აკლდა, როცა მიხეილ ბერუაშვილის გაწვრთვნილი გუნდი 48:41 გალიდერდა. ეს მასპიძლელთა სერიოზული განაცხადი იყო გამარჯვებაზე, მაგრამ სოხუმელები სხვანაირად ფიქრობდნენ. დარჩენილ დროში მათ 2 ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, ხოლო ბოლო მეოთხედი და ბაგაცკისის გუნდის აფეთქება ერთდროულად დაიწყო. ლაშა ფარღალავამ და იუჯინ ჰარისს მხარი წინა ხაზში ძმებმა დამუსებმაც აუბეს და სოხუმელებმა საბოლოოდ 18-ქულიანი გამარჯვება მოიპოვეს. ბოლო ათწუთეული აინარს ბაგაცკისის გაწვრთნილმა გუნდმა 27:7 მოიგო.

### თსუ — თსსუ 87:71

**(29:15, 21:22, 29:15, 26:18**

**თსუ:** ფანჩულიძე (10), გაფრინდაშვილი (5 ქ, 8 პ), კოხრეიძე (5ქ, 0 მ), ლონდარიძე (23 ქ, 19 მ), კორკოტაძე, ჩიტაშვილი (10), მათიაშვილი (15), მ. ბერიშვილი (19 ქ, 10 მ)

**თსსუ:** გულისაბედაშვილი (2), ჩაჩიბაია (1), ლეჟავა (13), თავართქილაძე (4), ი. ლეჟავა (13), ბექაური, 2), ნინიაშვილი (8), კეიდია (8 ქ, 7 მ), როდუმტა (2), ჭოჭუა (14), ფაიქრიძე, დვალიშვილი (17 ქ, 6 მ), თენიეშვილი

მატჩის საწყისი სამი მეოთხედი თანაბარი იყო. მართალია, ძირითადად თსუ ლიდერობდა, მაგრამ მედიკოსებიც მოინდომებდნენ ხოლმე და მეორე და მესამე მეოთხედში იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა ნუგზარ კანდელაკის გაწვრთნილმა მედიკოსებმა მცირეხნიანი ლიდერობა მოიპოვეს.

სამედიცინო უნივერსიტეტში ისევ ვერ ითამაშა ჯეფრი როჯერსმა. ამერიკელ ლედიონერს ფეხის ტრავმა აქვს და ზედიზედ მესამე მატჩს ტოვებს. მის გარეშე დარჩენილმა მედიკოსებმა ძალიან კი მოიწადინეს, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდნენ. ილია ლონდარიძისა და რიჩარდ მათიაშვილის ტანდემმა ფარქვეშ ყველაფერში დაჩაგრა მედიკოსი ოპონენტები და როცა უკანახაზელებმაც იპოვეს საკუთარი თამაში, თსუ-მ ბოლო მეოთხედში დიდი უპირატესობა, საბოლოოდ კი გამარჯვება მოიპოვა.

### შსს — ბათუმი 91:75

**(27:6, 22:22, 26:18, 15:27**

**შსს:** ლაფანაშვილი (7), ბ. ლეჟავა (13), ნიკოლაძე (10), კოტონი (8), მარკოიშვილი (8), ტუჯანი (5 ქ, 8 მ), დ. ბარბაქაძე (17), შერმადინი (9), დეკანოიძე (2), წივწივაძე (8 ქ, 10 პ), ტომარაძე (6)

**ბათუმი:** რამიშვილი (6), მაისურაძე (12), მიქელაძე (3), ნინუა (4), ჩხატარაშვილი, კეშელავა (2), ელიაშვილი (4), ყველაშვილი (15 ქ, 9 მ), სანაძე (29)

შსს-სა და „ბათუმის“ მატჩში ყველაფერი თითქმის პირველი მეოთხედის შემდეგ გადაწყდა. დავით უსტიაშილის გაწვრთნილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა საწყისი ათწუთეული 28:6 მოიგო და გამარჯვებულის ვინაობა ყველასთვის ნათელი გახადა.

### სსაუ — დინამო 80:70

**(18:6, 21:17; 21:28; 18:1§**

**სსაუ:** ჩაჩანიძე (19), არწივიძე(2), ხანიაშვილი (15), მუმლაძე (10), ჯავახიშვილი (10), ტეტელაშვილი (2), ბააკაშვილი, ნანიტაშვილი (9), სიგუა (4), გემაზაშვილი (9)

**დინამო:** ივანეიშვილი (3), ეძგვერაძე (11), გლუნჩაძე (2), თავამაიშვილი, ალხანაიძე (17), პატარაია (16), თვაური (4), შალიკიანი, ირაკლი ცაგარეიშვილი (3), გულდედავა (14), ჩაველაშვილი

აგრარული უნივერსიტეტისა და „დინამოს“ მატჩი აგრარელთა უპირატესობით დაიწყო. გია კაზანჯიანის გაწვრთნილი სსაუ თავიდან დამაჯერებლად უგებდა დავით თორთლაძის გუნდს, თუმცა, ბოლო მეოთხედში ვითარება დაიძაბა. ანგარიშში სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა, მაგრამ აგრარელებმა მობილიზება მოახერხეს და საბოლოოდ 10 ქულით იმარჯვეს.

### არმია — სტუ 82:54

**(15:12; 1§:14; 15:16; 35:12**

**არმია:** ტულუში (15), ბოისა (19), ლევან მოსეშვილი (2), ათანელიშვილი (5), შარაბიძე (10), ბაქრაძე, ბაბიაშვილი (22), მინაშვილი (2), პირველაშვილი (3), ბუბა ბერიშვილი (4)

**სტუ:** ჩიკვილაძე (8), ვასილ ბერუაშვილი (9), ლაშქარაძე, ირაკლი ძიძიგური (4), კობიძე (10), ჭოხონელიძე, ლომოური (14), გასიტაშვილი, მაჩალაძე (2), ჯანგველაძე (5), თევზაძე (2)

ძალიან საინტერესო გამოდგა გათამაშების ლიდერ „არმიასა“ და სტუ-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩში საბოლოოდ 28□ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა, იგი ტურის მატჩებში ალბათ ყველაზე საინტერესო იყო. ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებული ზურაბ ტომარაძის გაწვრთნილი სტუ საწყისი 3 მეოთხედის მანძილზე ტოლ-სწორად ებრძოლა ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ „არმიას“, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატის პირველ მატჩში წაგების შემდეგ ზედიზედ 12 შეხვედრა მოიგო.დაცვაზე ორიენტირებული ტექნიკოსები არმიელებს დიდ პრობლემებს უქმნიდნენ. მართალია, ლევან მოსეშვილის გუნდი მუდმივად წინ იყო, თუმცა სტუ არ რჩებოდა და გამუდმებით კუდზე აჯდა. მესამე მეოთხედის ბოლოს ვასილ ბერუაშვილის სამქულიანის შემდეგ ტექნიკოსებმა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს.

თუმცა, ბოლო მეოთხედში არმიელებმა ერთიანად აიწყვიტეს და ყველა კომპონენტში დამაჯერებელი ლიდერობა მოიპოვეს. გადამწყვეტი ათწუთეულის 35:12 მოგებით ლევან მოსეშვილის გუნდმა საბოლოოდ დიდი სხვაობით იმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 12 | 11 | 1 | 1063:814 | 23 |
| 2.შსს | 13 | 10 | 3 | 1162:972 | 23 |
| 3.თსუ | 13 | 10 | 3 | 1128:1022 | 23 |
| 4.სოხუმი | 13 | 8 | 5 | 1021:980 | 21 |
| 5.ქუთაისი | 12 | 8 | 4 | 973:868 | 20 |
| 6.ენერჯი | 13 | 7 | 6 | 911:931 | 20 |
| 7.სტუ | 13 | 4 | 9 | 1051:1113 | 17 |
| 8.სსაუ | 13 | 4 | 9 | 918:1075 | 17 |
| 9.ბათუმი | 12 | 4 | 8 | 939:994 | 16 |
| 10.თსსუ | 13 | 3 | 10 | 944:1001 | 16 |
| 11.დინამო | 13 | 1 | 12 | 885:1225 | 14 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# TV პროგრამა

**ორშაბათი 21 თებერვალი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "უჩინარი კვალი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქშოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"იაიას დების ღვთაებრივი საიდუმლოებები"** (ს. ბალოკი) **02.30** მოამბე **02.50** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"ორსაუკუნოვანი ადამიანი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"მზიანი მხარე"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ჯილი"** (15)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ.**"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ.**"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სეტუმრად იუმორინასთან **23.30** მხ. ფილმი **"ილაის წიგნი"** (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **01.50** მხ. ფილმი **"ბოროტების სავანე 3"** (18) (მ. იოვოვიჩი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ.**"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** დოკ. ფილმი **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"ელენას მორჩენება"** **22.00** ქართ. ფილმი **"კონფლიქტის ზონა"** **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"პატიმარი"** (18) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"** **13.30** კონცერტი – რ. სებისკვერაძე **15.05** სპექტაკლი **"გუშინწინ, გუშინ, დღეს"** **17.05** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი 1-ლი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ხანუმა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძველი აფიშა "მარტოობის დღესასწაული" **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. ფილმი **"წერილი ნაძვებს"** **00.30** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გახსნილია

დასაწყისი მე-7 გვერდზე

თავდამსხმელებმა ილია მოკლეს და მიიმალნენ. ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ილიას მკვლელობა ჩაფიქრებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს ილიას მიერ მათი რევოლუციური გზების დაგმობისა და ხალხში მისი უსაზღვრო პოპულარობის გამო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ერთმა მოხუცმა კაცმა აღიარა, რომ რუსეთის ჟანდარმერიამ დაიქირავა ილიას მოსაკლავად. საბჭოთა პერიოდში ხელმძღვანელობამ მკვლელობის გამოძიება დაიწყო, რომელმაც მოგვიანებით დაასკვნა, რომ მეფის ხელისუფლების საიდუმლო პოლიცია და ადმინისტრაცია იყვნენ ჩარეული ილიას მკვლელობაში. ილიას მკვლელობა ქართველმა ხალხმა ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნია. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ილია წმინდანად შერაცხა და მას წმინდა ილია მართალი უწოდა.

# რამაზ ნიკოლაიშვილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ეწვია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ეწვია.

მინისტრმა მოინახულა თიანეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის რეაბილიტირებული სამსართულიანი შენობა, რომელიც წლების განმავლობაში მწყობრიდან იყო გამოსული. შენობის დათვალიერების შემდეგ, მინისტრმა თიანეთის მუნიციპალიტეტს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გასატანად განკუთვნილი ორუი ახალი ავტომანქანა გადასცა. 100 ცალ ურნას კი, მუნიციპალიტეტი უახლოეს დღეებში მიიღებს. აღნიშნული ტექნიკა “მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის“ ფარგლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა საქართველოს მთავრობის და აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით შეისყიდა.

ალსანიშნავია, რომ დაბა თიანეთის მოსახლეობა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად 24 საათიან წყალმომარაგებაზე გადავიდა. წყალმომარაგების სისტემის სამუშაოების დაწყებამდე დაბა თიანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი უწყლოდ იყო დარჩენილი, ნაწილს კი სასმელად უვარგისი წყალი დღის განმავლობაში მხოლოდ 2 საათიანი გრაფიკით მიეწოდებოდა. რამაზ ნიკოლაიშვილმა რეაბილიტირებული წყალგაყვანილობის სისტემის მუშაობის ხარისხი ბიკაშვილების ოჯახში პირადად შეამოწმა. სამუშაოები რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა.

რამაზ ნიკოლაიშილმა, თიანეთში ყოფნისას, რეაბილიტირებული სპორტ-სკოლა და განახლებული კულტურის სახლიც მოინახულა. სპორტ-სკოლაში, რომელიც წლების განმალობაში მწყობრიდან იყო გამოსული, სატრენაჟორო და საჭიდაო დარბაზები და კალთბურთის მოედანია განლაგებული.

რეაბილიტირებულ კულტურის სახლში 300 კაცზე გათვლილი კინოთეატრი და საკონცერტო დარბაზი ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ თიანეთს კინოთეატრი 20 წლის მანძილზე არ ჰქონია. კულტურის სახლის რეაბილიტაციის შემდეგ, დარბაზი შესაბამისი აპარატურით აღიჭურვა და კინოთეატრის ფუნქციაც შეითავსა.

**მედიანიუსი**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 21 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7699

ევრო — 2,394

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8425

რუსული რუბლი — 0,0604

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5-7, ღამით — 9-2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-11, ღამით — 2-6

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -5-3, ღამით — -12-1

## ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისთვის







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


# საქართველოს ნაკრები პორტუგალიასთან სათამაშოდ დღეს შეიკრიბება

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ევროპის ერთა თასის მე-3 ტურის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც 26 თებერვალს, ლისაბონში, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელებმა აქამდე ორივე მატჩში გაიმარჯვეს და ჩვენები მხოლოდ პრემიერის ქულების წყალობით უსწრებენ.**



„ბორჯღალოსანთა" მთავარმა მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა ის 25 მორაგბე ჩამოთვალა, რომლებიც ერთა თასის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის მოემზადება. საქართველოს ნაკრები 21 თებერვალს ლისაბონში შეიკრიბება და მომავალი შეხვედრისთვის ადგილზე მოემზადება. ლეგიონერები საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩების შემდეგ, პირდაპირ პორტუგალიაში ჩავლენ, სადაც მათ გუნდის დანარჩენი წევრები დახვდებიან.

**რიჩარდ დიქსონი:**

— ლისაბონში გამარჯვებისთვის, წინა თამაშებთან შედარებით თავი გაცილებით უკეთ უნდა წარმოვაჩინოთ. სამწვრთნელო შტაბის მთავარი მისია — გუნდის მებრძოლი და შემოქმედებითი (ფორვარდები და ბეკები) მხარეების დაბალანსება უკვე განხორციელების პროცესშია. რაც მთავარია, ბიჭებს აქვს სწავლისა და განვითარების მზაობა.

საქართველოს ნაკრები პორტუგალიელებთან სათამაშოდ ასეთი შემადგენლობით მოემზადება:

**პირველხაზელები:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), ვასილ კაკოვინი (ბრივი, საფრანგეთი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი, საფრანგეთი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა, რუმინეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი), გოდერძი შველიძე (მონპელიე, საფრანგეთი);

**მეორე-მესამე ხაზი:** ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), გია ლაბაძე (მარსეი ვიტროლი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი, საფრანგეთი);

**ნახევარმცველები:** ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა, რუმინეთი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი);

**უკანა ხაზი:** ლექსო გუგავა (ლელო, თბილისი), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი, საფრანგეთი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია, ქუთაისი), ბესიკ ხამაშურიძე (აია, ქუთაისი).

ერთია, ტოპ-14-ის ჩემპიონატში ფეიქრიშვილმა „მონპელიესთან" მატჩში ტრავმა მიიღო და მისი თამაში პორტუგალიელებთან გამოირიცხა. რადგან დიქონს საბოლოო შემადგენლობისთვის 23 მორაგბე სჭირდება, სავარაუდოდ, მის შემცვლელს არ გამოიძახებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 21 თებერვლისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** — საყიდლებზე წასვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს აქტიურობა არ გარგებთ. **თევზები** — ახალი საქმე გაამართლებს, ბედი გწყალობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



## იუმორი

— საუკეთესო სიურპრიზი საყვარელი ქალისათვის — ახალთახალი ლიმუზინი, რომლის საბარგულშიც ოქროს ძეწკვით ჯვარედინად შეკრული ძვირფასი ქურქი დევს, ქურქში კი ბრილიანტის კოლიეა შეხვეული.

* * *

— ცოტა ხნის წინ ერთი ლამაზი გოგონა გავიცანი, მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ბედნიერების წინააღმდეგი არიან რატომღაც სურთ, რომ ვიქორწინოთ...

* * *

ქალმა ქმარი მიატოვა. დაქალს ეუბნება:

— როგორც კი სახლიდან გამოვედი, გასროლის ხმა გაისმა. როგორ გგონია, თავი მოიკლა?

— ვფიქრობ, შამპანური გახსნა...

* * *

საბავშვო ბაღში სამი ბავშვი კამათობს, ცდილობენ გამოარკვიონ, ვისი მამა უფრო სწრაფია.

— მამაჩემი მშვილდოსანია, ისეთი სწრაფია, მშვილდიდან გასროლილ ისარს ეწევა.

— მამაჩემი მონადირეა, ნადირს რომ ესვრის, მერე, ხელს შეაშველებს ხოლმე, მიწაზე რომ არ დაეცეს.

— თქვენ რა გესმით სისწრაფის. მამაჩემს სამსახური 16:30-ზე უმთავრდება, მაგრამ 15:45-ზე უკვე სახლშია.

*გ.თ.*

## ადვილად იღებთ გადაწყვეტილებას?

**ტესტი**



1. ადვილად თუ ეგუებით გარემოებებს?
2. თუ თიშავთ ხოლმე ტელევიზორს, როდესაც ცხადი ხდება, რომ დღეს საინტერესოს აღარაფერს გადმოსცემენ?
3. თუ შეგიძლიათ გადადოთ ყველაფერი საყვარელი საქმისათვის?
4. თუ კარგ ანაზღაურებას შემოგთავაზებენ, უყოყმანოდ დათანხმდებით?
5. მაშინვე თუ აღიარებთ შეცდომებს?
6. თუ იბნევით, როდესაც მოულოდნელად სტუმრები დაგატყდებიან თავს?
7. თუ იცვლით აზრს სერიოზული დისკუსიის შედეგად?
8. დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ თუ აკეთებთ იმას, რასაც საკუთარი სურვილით არ გააკეთებდით?
9. თუ იცით ზუსტად, რას გააკეთებთ დასვენების უახლოეს დღეებში?
10. ყოველთვის ასრულებთ მიცემულ სიტყვას?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-7 შეკითხვისა**

**პასუხები**

**0-3 ქულა:** თქვენ ძალიან გაუბედავი ხართ, სულ პოს და არას შორის მერყეობთ, ამიტომ ხშირად უშვებთ კარგ შესაძლებლობებს. უფრო მტკიცედ მოიქეცით, ხანდახან გარისკვაც საჭიროა, თავს სიფრთხილით ნუ იმშვიდებთ, უბრალოდ მშიშარა ხართ.

**4-7 ქულა:** გადაწყვეტილებას ფრთხილად იღებთ, მაგრამ პრობლემებს არ ერიდებით, მხოლოდ მაშინ ყოყმანობთ, როდესაც რამე დამღლელი ან მძიმე საქმე გელით.

**8-10 ქულა:** თქვენი ლოგიკური აზროვნება, თანამიმდევრულობა და სიმტკიცე, გარდა ამისა, პრაქტიკული გამოცდილება სწრაფი და უმეტეს შემთხვევაში მართებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას გაძლევთ, მაგრამ ეს თვისებები ხანდახან სხვა ადამიანებს თრგუნავენ.

*გ.თ.*

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 3. ტყის ვაშლი; 8. ალლუმი; 10. მინერალური წყალი ჩრდილო კავკასიაში; 11. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 12. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი; 14. იჯარა; 15. სახურავი მასალა; 16. ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი; 19. სითხის საზომი ერთეული აშშ-სა და ინგლისში; 20. ერთ-ერთი სახელი აფროდიტესი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. კურკოვანი ხილი.

**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვა; 2. ჰომეროსის პოემა; 3. ურანის თანამგზავრი; 4. ვაზის ერთწლიანი რქა; 5. ღვარძლიანი დაცინვა; 6. ბანქო; 7. ლაბორატორიული ჭურჭელი; 9. სპეციალური დანიშნულების პატარა სათავსი; 13. აზელილი კარტოფილი; 17. ცხრასტრიქონიანი სტროფი; 19. ნუსხა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

# სკანდალი ევროვიზიის ეროვნულ ფინალზე

## რატომ დატოვა კონკურსი სამმა კანდიდატმა?


ეკა ირემაშვილი


ევროვიზიის წლევანდელი ეროვნული კონკურსი მეტად უცნაურად წარიმართა. კონკურსამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ კონკურსში ათი კანდიდატის მაგივრად შვიდი კონკურსანტი გამოვიდოდა. კონკურსს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მეხუთე ნომრად განთესილი მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე გამოეთიშა, რომელსაც გიგა კუხიანიძის სიმღერა უნდა შეესრულებინა. მომღერალმა გრიპის ვირუსით ავადმყოფობის გამო კონკურსში მონაწილეობაზე უარი თავად განაცხადა. ბორის ბედია შიდაშესარჩევ კონკურსს გასტროლების გამო გამოეთიშა.

თავისი კანდიდატურა მოხსნა მომღერალმა ქეთი ორჯონიკიძემაც. მომღერალი საკონკურსო პირობებმა არ დააკმაყოფილა. სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" ქეთიმ განაცხადა:

— „ევროვიზიაზე" ჩემი კანდიდატურა მოვხსენი. ოდესმე რაიმე ნორმალური თუ ჩატარდება საქართველოში, დამირეკეთ. ხომ არ შეიძლება, ყოველთვის წინასწარ იცოდე, ვინ იმარჯვებს.



როგორც ქეთიმ განმარტა, შესარჩევი კონკურსიდან მისი კანდიდატურის მოხსნა ორმა ფაქტორმა განაპირობა. მუსიკა პლუს ფონოგრამაზე უნდა ყოფილიყო, ქეთის კი ბენდთან ერთად სურდა სიმღერა. ფონოგრამის ჩაწერას იგი ეროვნულ ფინალამდე ვერ ასწრებდა, ამიტომ კონკურსი დატოვა. მეორე მიზეზად კი ის დასახელდა, რომ საკონკურსოდ გერმანიაში გასამგზავრებლად მხოლოდ მგზავრობის თანხები ნაზღაურდება. დანარჩენი ხარჯები გამარჯვებულმა უნდა მოიძიოს და აანაზღაუროს.

— „ფეისბუქზეც" ამიტომ დავტოვე დაახლოებით ასეთი შინაარსის კომენტარი „ევროვიზიის მსგავს კონკურსში მონაწილეობას აზრი არა აქვს", — ამბობს მომღერალი.

ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ჩატარების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „ევროვიზია 2011"-ზე საქართველოს ჯგუფი „ელდრაინი" წარადგენს.


**გაგრძელება მე-8 გვერდზე**